ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

9 მარტიდან გაზეთ ახალ თაობასთან ერთად

მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

ბიოლოგია – თეორიული მასალა + ტესტები + 1500 ელექტრონული ტესტი

გადაფხიკე კოდი და ივარჯიშე ინტერნეტში!

ფასი გაზეთთან ერთად 11 ლარი



16 მარტიდან გაიყიდება გეოგრაფია • 23 მარტიდან — ფიზიკა • 30 მარტიდან — ქიმია

პარასკევი, 11 მარტი, 2016 №59 (6985) ფასი: 50 თეთრი

# მთავრობაში საკადრო წმენდა დაიწყო



გვ.2



ორი გუბერნატორი წავიდა, რიგში კიდევ ორი დგას

## არჩილ გამზარდია: „კოალიცია უნდა დაიშალოს და პარტია „ქართული ოცნება“ არჩევნებზე ცალკე გავიდეს“





გვ.3

რესპუბლიკური პარტია ყოველთვის საკუთარ თამაშს თამაშობდა



გვ.3

„ევროკავშირში უვიზოდ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში მცხოვრებნიც ივლიან“

## ვიქტორ დოლიძე: „საბჭოურიდან ევროპულისკენ ტრანსფორმირება უნდა მოხდეს“

## დავით უსუფაშვილი: „შესაძლოა, ნოემბერში ამ თანამდებობაზე აღარ ვიყო“



გვ.3

შედეგების მისაღებად ნებისმიერ სფეროში საჭიროა ოპოზიციონერებთან შეთანხმება



გვ.4

## სოფო ხორგუანი: „მე რომ მედიამაგნატი ვიყო, რუსთავი 2-ის ყიდვასაც შევეცდებოდი“

## სერგეენკოს უწყებამ სახალხო დამცველის წინადადება არ გაითვალისწინა



გვ.2



გვ.5

## აფხაზეთის საზოგადოება შსს-ს დაუპირისპირდა

შეხლა-შემოხლის დროს შს მინისტრის მოადგილე დაშავდა

## პარლამენტში ანტიკორუფციული კომიტეტი იქმნება?



გვ.2

ISSN 1987-9385

# მთავრობაში საკადრო წმენდა დაიწყო

## ორი გუბერნატორი წავიდა, რიგში კიდევ ორი დგას

შორენა მარსაგიშვილი

საპარლამენტო უმრავლესობის წევრები ღიად ადასტურებენ, რომ ახლო მომავალში მთავრობაში კიდევ რამდენიმე ცვლილება განხორციელდება.

დეპუტატების ნაწილის მტკიცებით, თანამდებობას ნოდარ ხადური და რესპუბლიკელი მინისტრები დატოვებენ. თავდაცვის მინისტრი თინა ხიდაშელი კი ამბობს, რომ ცვლილება მოსალოდნელი არ არის.

არადა, ცვლილებები უკვე დაიწყო, თუმცა ჯერ მხოლოდ რეგიონებში. 10 მარტს თანამდებობა ორმა გუბერნატორმა დატოვა, 2 კი რიგში დგას თურმე.



– საკადრო ცვლილებები ამ ეტაპზე საქართველოს ორ რეგიონში ხორციელდება. თანამდებობიდან გადადგომის შესახებ განცხადებით მთავრობას მცხეთა-მთიანეთის გუბერნატორმა ნუგზარ ყიფიანმა და შიდა ქართლის გუბერნატორმა ზურაბ რუსიშვილმა მიმართეს. შესაბამისად, მთავრობის 10 მარტის სხდომაზე ორივე განცხადება დაკმაყოფილდა, – იუწყებიან მთავრობის ადმინისტრაციაში.

მთავრობის ადმინისტრაციის ცნობითვე, პრემიერ-მინისტრი გაწეული სამსახურისთვის ნუგზარ ყიფიანს და ზურაბ რუსიშვილს მადლობას უხდის.

მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობას გოჩა ზეიკიძე დაიკავებს, შიდა ქართლში კი გუბერნატორის მოვალეობას ზურაბ რუსიშვილის მოადგილე შეასრულებს.

ნუგზარ ყიფიანის გადადგომის შესახებ ინფორმაცია რამდენიმე თვის წინ გავრცელდა. გავრცელებული ინფორმაციით, ის შესაძლოა ან „ქართული ოცნების" საარჩევნო სიაში ჩასვან, ანდა ტყიბულის მაჟორიტარად წარადგინონ.

მეოცნებეები ტყიბულის მაჟორიტარად ახალი კანდიდატის დასახელებას რომ აპირებენ, ეს გასული წლის იანვარში გახდა ცნობილი. ამის შესახებ ტყიბულელებს დეპუტატმა ირაკლი ტრიპოლსკიმ ამცნო. ამან მოქმედი მაჟორიტარი ელისო ჩაფიძე ძალიან გაანაწყენა.

ჩაფიძე ამტკიცებდა, რომ მას ტრიპოლსკი და ნუგზარ ყიფიანი ებრძვიან. მცხეთა-მთიანეთის აწ უკვე ყოფილი გუბერნატორი წარმოშობით ტყიბულიდან არის. მას მშობლიური რაიონის რჩეულთან ურთიერთობა 2014 წლის თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ დაეძაბა.

აქ საკრებულოს თავმჯდომარის არჩევა ძალიან გაჭირდა. ჩაფიძე ამტკიცებდა, რომ ყიფიანი დეპუტატებზე ზეწოლას ახორციელებდა.

მხარის დეპუტატებთან იდეალური ურთიერთობა არც შიდა ქართლის გუბერნატორს ჰქონია. რუსიშვილს გორის მაჟორიტარ სოსო ვახტანგაშვილთან ჰქონდა ურთიერთობა დაძაბული.

რამდენიმე კვირის წინ სოსო ვახტანგაშვილმა გუბერნატორის გადადგომაც კი მოითხოვა. ამ მოთხოვნის გამო მას საპარლამენტო უმრავლესობის ლიდერებმა უსაყვედურეს და უთხრეს, ასეთ განცხადებას რომ ავრცელებ, ჩვენთანაც შეათანხმეო.

გავრცელებული ინფორმაციით, რუსიშვილს გორის საკრებულოში მომხდარი არეულობის გამო მოუხდა პოსტიდან წასვლა.

თებერვლის დასაწყისში გორის საკრებულოში თავმჯდომარის იმპიჩმენტი განხორციელდა, მარტში კი ამ თანამდებობაზე ოპოზიციის სასურველი კანდიდატი აირჩიეს.

* * *

მცხეთა-მთიანეთში სახელმწიფო რწმუნებულის თანამდებობაზე გოჩა ზეიკიძის დანიშვნას ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი გივი თარგამაძე ფეისბუქით გამოეხმაურა.

მან ზეიკიძის პიროვნების შესახებ ინფორმაცია გაავრცელა.

– ესეც თქვენი „უკეთესი". კვირიკაშვილმა ორი გუბერნატორი გაუშვა და ერთის ნაცვლად მცხეთაში, არც მეტი, არც ნაკლები, ზურაბ გამეზარდაშვილის დის ქმარი გოჩა ზეიკიძე დანიშნა.



შეგახსენებთ, გამეზარდაშვილი, შევარდნაძის დროის ერთ-ერთი ყველაზე კორუმპირებული გაიშნიკი, კახეთში თამაზ თამაზაშვილის სამხარეოს უფროსობის დროს მისი უერთგულესი, ქოცურ მთავრობაში მისივე მოთხოვნით დაფუძნებული, დღეს ითავსებს შს მინისტრის მოადგილისა და საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ხელმძღვანელის პოზიციებს.

თითქოს დეჰაკიმიზაციის პროცესში ამ პერსონაჟის დასრიალება ყველაზე მოსალოდნელი უნდა ყოფილიყო, მაგრამ, ოლოლო – კიდევ უფრო გაძლიერდა და ერთი პოზიციით გაიზარდა. ამბობენ, ჰაკიმის სასახლეზე ბოლო ლურსმანი ამ ერთგულმა დააჭედებინა გლუვს, მიაწოდა რა საკუთარი კლანისთვის მომაკვდინებელი ინფორმაცია. გამეზარდაშვილი გლუვმა არჩევნებზე კრახში მოგახმაროთ, „უკეთესო", თუ მანამდე თქვენც არ მოგასრიალათ, – წერს გივი თარგამაძე.

* * *

ამბობენ, რომ თანამდებობებს გურიისა და კახეთის გუბერნატორებიც დატოვებენ.

გია სალუქვაძე და ირაკლი შიოლაშვილი ყოფილ პრემიერ ირაკლი ღარიბაშვილის კადრებად ითვლებიან.

არც სალუქვაძე და არც შიოლაშვილი გადადგომის შესახებ გავრცელებულ ინფორმაციას არ ადასტურებენ. ირაკლი შიოლაშვილი აცხადებს, რომ ის არც მომავალში აპირებს გადადგომის შესახებ განცხადების დაწერას.

სახელისუფლებო კულუარებში კი ამტკიცებენ, რომ ისინი აუცილებლად დატოვებენ პოსტებს. გავრცელებული ინფორმაციით, მათ ბედს ღარიბაშვილის დაჯგუფების სხვა წევრებიც გაიზიარებენ, თუმცა, გივი თარგამაძის განცხადებით ირკვევა, რომ ღარიბაშვილის კადრები კვლავ ინიშნებიან თანამდებობებზე.

# პარლამენტში ანტიკორუფციული კომიტეტი იქმნება?

შორენა მარსაგიშვილი



ნაციონალური მოძრაობა ახალი საკანონმდებლო ინიციატივით გამოდის. ყოფილი ხელისუფლების წარმომადგენლები პარლამენტში ანტიკორუფციული კომიტეტის შექმნას ითხოვენ.

საკანონმდებლო ინიციატივა ნაციონალებმა არასამთავრობოებს გააცნეს. როგორც დეპუტატი ირმა ნადირაშვილი აცხადებს, კომიტეტის ფუნქცია მთავრობის ზედამხედველობა, კონტროლი და სავარაუდო კორუფციული ფაქტების შესწავლა იქნება.

ნადირაშვილი და მისი კოლეგები დარწმუნებული არიან, რომ ახალ ინიციატივას უმრავლესობა მხარს არ დაუჭერს.

აქედან გამომდინარე, ისინი „ქართული ოცნების" სთავაზობენ, რომ ეს ცვლილებები კანონში 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ შევიდეს.

– ჩვენ არ ვთავაზობთ ხელისუფლებასა და უმრავლესობას, რომ ეს კანონი გავიდეს და ამოქმედდეს დღესვე. ჩვენ ვთავაზობთ, რომ ეს კომიტეტი შეიქმნას საპარლამენტო არჩევნების შემდეგ, – განაცხადა ირმა ნადირაშვილმა.

არასამთავრობოებმა ნაციონალების ინიციატივა მოიწონეს. მათი განცხადებით, პარლამენტში დამატებით ანტიკორუფციული კომიტეტის შექმნა მნიშვნელოვანია, რადგან კონკრეტული ფაქტების მიმართ საზოგადოების ფართო ინტერესი არსებობს და აუცილებელია, გაჩენილ კითხვებს პასუხები გაეცეს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს" პროექტის მენეჯერი ერეკლე ურუშაძე აცხადებს, რომ ანტიკორუფციული კანონმდებლობის რეფორმირება საქართველოში აუცილებელია.

როგორც მან ჟურნალისტებს განუცხადა, მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის ანტიკორუფციული კანონმდებლობა სათანადოდ იყოს აღსრულებული პრაქტიკაში.

– ქვეყნის ანტიკორუფციული და ინსტიტუციური მოწყობა ნამდვილად საჭიროებს რეფორმას. ჩვენმა ორგანიზაციამ შარშან წარმოადგინა ინიციატივა, რომელიც ითვალისწინებს დამოუკიდებელი ანტიკორუფციული სააგენტოს შექმნას და ეს ინიციატივა რამდენიმე თვეა, უკვე დევს პარლამენტში. მიზანი უნდა იყოს იმის უზრუნველყოფა, რომ ქვეყნის ანტიკორუფციული კანონმდებლობა სათანადოდ იყოს აღსრულებული პრაქტიკაში და არ დარჩეს მხოლოდ ქაღალდზე, – აცხადებს ერეკლე ურუშაძე.

# სერგეენკოს უწყებამ სახალხო დამცველის წინადადება არ გაითვალისწინა

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრომ არ შეასრულა სახალხო დამცველის წინადადება პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირების ცე ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვასთან დაკავშირებით.

ამის შესახებ განცხადებას ომბუდსმენის აპარატი ავრცელებს, რომლის თანახმადაც, სახალხო დამცველის მიერ გაგზავნილ წინადადებაში აღნიშნული იყო, რომ აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონების მოსახლეობა განსაკუთრებით მოწყვლად კატეგორიას მიეკუთვნება, რომელთაც ოკუპაციის პირობებში, მძიმე სოციალურ, ეკონომიკურ და უფლებრივ ვითარებაში უწევთ ცხოვრება.





სახალხო დამცველი თვლის, რომ ცე ჰეპატიტის ელიმინაციის სახელმწიფო პროგრამაში უნდა იყვნენ ჩართულები პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირები, რადგან, როგორც ეს წინადადებაში იყო აღნიშნული, პირადობის ნეიტრალური მოწმობის შესახებ სამოქმედო გეგმაში ნათქვამია: „აღნიშნული მოწმობა მიმღებ პირს უფლებამოსილს ხდის, მოითხოვოს ყველა ის სოციალური შეღავათი, რომლებიც საქართველოს მოქალაქისათვის არის განსაზღვრული".

– საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის პასუხის მიხედვით, პროგრამის განხორციელების უმთავრეს წინაპირობას წარმოადგენს მედიკამენტების უსაფრთხოება და ისინი მაქსიმალურად ცდილობენ, შეამცირონ მედიკამენტების ქვეყნიდან გადინებისა და უკანონო რეალიზაციის რისკები. სახალხო დამცველი აცნობიერებს, რომ ცე ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამა ძვირადღირებულია და უსაფრთხოების განსაკუთრებული ზომების დაცვას მოითხოვს, თუმცა, მინისტრის პასუხიდან არ ირკვევა, რა რისკის შემცველი შეიძლება იყოს პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირისთვის სამკურნალო მედიკამენტების გადაცემა (განსხვავებით საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მქონე პირისაგან) და რატომ არ არის საკმარისი უკვე არსებული უსაფრთხოების ზომები, მათ შორის, პირველი აბის ვიდეოკამერის წინ მიღება, ორ კვირაში ერთხელ ვიზიტი კლინიკაში და დარჩენილი მედიკამენტების ვიდეოკამერის წინ გადათვლა და ყოველი თვის ბოლოს წინა თვის წამლის ცარიელი ყუთის ჩაბარება, – ნათქვამია განცხადებაში.

სახალხო დამცველის წინადადებით, პირადობის ნეიტრალური მოწმობის მქონე პირებისათვის ცე ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა და მკურნალობის კურსის გავლა უნდა განეხორციელებინათ იმავე წესით, როგორც საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის მქონე პირებისათვის, რაც, ვფიქრობთ, არ აჩენს დამატებით საფრთხეებს პროგრამის მიზნებისათვის. აღნიშნული მიდგომა კი ხელს შეუწყობდა განსაკუთრებით მოწყვლადი კატეგორიის პირების ჯანმრთელობის უფლების დაცვას. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ 2015 წლის ნოემბრის მდგომარეობით, პირადობის ნეიტრალური დოკუმენტი გაცემული იყო მხოლოდ 278 პირზე.

სახალხო დამცველი მიიჩნევს, რომ იმ პირობებში, როდესაც საქართველოს მოქალაქეობისა და პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის მიღების პროცედურა შედარებით უფრო რთული და ხანგრძლივია, ვიდრე პირადობის ნეიტრალური მოწმობის აღებისა, ოკუპირებულ ტერიტორიაზე მცხოვრებ პირთა ჯანმრთელობის უფლების დაცვის მიზნით, შესაძლებელი უნდა იყოს პირადობის ნეიტრალური დოკუმენტის საფუძველზე მათთვის ცე ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამაში ჩართვა.

შესაბამისად, სახალხო დამცველი მოუწოდებს საქართველოს მთავრობას, მათ შორის, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, კიდევ ერთხელ განიხილოს აღნიშნული საკითხი და მიიღოს ისეთი გადაწყვეტილება, რომელიც ჯანმრთელობისათვის ამ მეტად მნიშვნელოვან პროგრამას ხელმისაწვდომს გახდის ერთ-ერთი ყველა მოწყვლადი კატეგორიის პირებისათვის ქვეყანაში.

ნიუსპრესი

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www. atb.ge E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# ვიქტორ დოლიძე: „საბჭოურიდან ევროპულისკენ ტრანსფორმირება უნდა მოხდეს“

## „ევროკავშირში უვიზოდ ოკუპირებულ აფხაზეთსა და ცხინვალში მცხოვრებნიც ივლიან“

ნათია ხურცილავა

თავისუფალი დემოკრატების ერთ-ერთი ლიდერი, პარლამენტის წევრი **ვიქტორ დოლიძე** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში აცხადებს, რომ საქართველოს იმ ქვეყნების სიაში გადასვლა, რომელთა მოქალაქეებსაც ევროკავშირის წევრი ქვეყნების ტერიტორიაზე ვიზიტისთვის ვიზა არ სჭირდებათ, ნამდვილად არის ჩვენი ქვეყნის გამარჯვება.

***— ბატონო ვიქტორ, პროცედურულად რა ეტაპი რჩება, რომ საქართველოს მოქალაქეებმა შეძლონ ევროკავშირის ქვეყნებში რეალურად უვიზოდ გადაადგილება?***

— ევროპარლამენტსა და ევროსაბჭოში შესაბამისმა კომიტეტებმა უნდა მიიღონ შესაბამისი გადაწყვეტილება. შემდეგ ევროპარლამენტი სხდომაზე განიხილავს აღნიშნულ საკითხს და ევროპარლამენტის პრეზიდენტი და ევროკავშირის საბჭოს თავმჯდომარე ხელს მოაწერენ დოკუმენტს. ამ შემთხვევაში ხელს მოაწერს ნიდერლანდების სამეფოს საგარეო საქმეთა მინისტრი.

მერე ეს ხელმოწერილი დოკუმენტი იქაურ საკანონმდებლო მაცნეში უნდა გამოქვეყნდეს. გამოქვეყნებიდან 20 დღის ვადაში შედის ძალაში.

ეს არის ის პროცედურა, რომელიც გასავლელი დარჩა. გარდა ამ ტექნიკური ნიუანსებისა, მთელ ამ პროცესს მნიშვნელოვანი პოლიტიკური დატვირთვა აქვს.

***— სწორედ პოლიტიკური მხარეა საინტერესო. ჩვენი ჩრდილოელი მეზობლის გათვალისწინებით, ზოგადად რეგიონში და ქვეყნის შიგნით რა პოლიტიკური დატვირთვა აქვს მთელ ამ პროცესს?***

— ეს მნიშვნელოვანი საკითხია როგორც რეგიონში, ასევე ჩვენი მეზობელი რუსეთის მიმართულებით. ეს იყო ორმხრივი პასუხისმგებლობა. პასუხისმგებლობა ავიღეთ ჩვენ, რომ ამ დავალებას შევასრულებდით და პასუხისმგებლობა აიღო ევროკავშირმაც, რომ, თუ ყველაფერს ზედმიწევნით კარგად შევასრულებდით, ის ამას დაგვიფასებდა და ასეც მოხდა. ეს კარგია საგარეო მიმართულებითაც, სხვებისთვისაც გახდება ეს კარგი სიგნალი, რომ, თუ ისინი მოინდომებენ, მათ ეს დაუფასდებათ.



ასევე ყველასთვის ნათელი გახდება, რომ ჩვენი მისწრაფებები ევროკავშირის მისწრაფებებს ემთხვევა და რომ უფრო მეტი ინტეგრაციაა ჩვენი მიზანი. პოლიტიკური ასოცირება, ეკონომიკური ინტეგრაცია გარდაუვალია.

ეს არის ჩვენი მოქალაქეებისთვის პოზიტიური სიგნალი, მიუხედავად რუსული პროპაგანდისა, მიუხედავად სხვადასხვა ინსინუაციებისა, ევროკავშირის მხრიდან ადეკვატური პასუხი ამ პროცესისთვის სასარგებლოა, რათა სკეპტიკოსებს არ დარჩეთ სათქმელი.

ასევე მნიშვნელოვანი იქნება ეს საკითხი ჩვენს ოკუპირებულ რეგიონებში მცხოვრები ხალხისთვის. მათ შეუძლიათ, საქართველოს მოქალაქის ბიომეტრიული პასპორტები აიღონ და ევროკავშირის ქვეყნებში უვიზოდ იარონ.

***— როდის ამოქმედდება ეს რეგულაციები? ევროინტეგრაციის მინისტრი ვადებს არ აკონკრეტებს.***

— მე ივნისისთვის მოველი, შეიძლება უფრო ადრეც, მაქსიმუმ, ივლისში ამოქმედდეს, მაგრამ მე მაინც ივნისი მგონია.

***— ეს ხომ არ გამოიწვევს ადამიანების ქვეყნიდან გადინებას?***

— არა, არავითარ შემთხვევაში. ვიღაცამ რაღაცა შეიძლება მოინდომოს, მაგრამ ყველაფერს თავისთავად პროცესი დაარეგულირებს. ეს პროცესი მნიშვნელოვნად ზრდის საქართველოს შანსებს, რომ სრულფასოვნად გადადგას ნაბიჯები ევროკავშირში ინტეგრაციის მიმართულებით. ამავე დროს, ეს არის ჩვენი ქვეყნისთვის პასუხისმგებლობაც, რომ გავატაროთ რეფორმები, რაც უნდა იყოს ეფექტური, დროული და მიზანმიმართული.

***— კონკრეტულად რა მიმართულებით არის სამუშაო გასაწევი? ალბათ, საკანონმდებლო დონეზე, რათა ევროპულ სტანდარტებს დავუახლოვდეთ. კიდევ რა მიმართულებით არის ცვლილებები საჭირო?***

— არა მხოლოდ საკანონმდებლო დონეზე. კანონმდებლობა არის ერთ-ერთი მთავარი შემადგენელი და ის ჰარმონიაში უნდა იყოს ევროკავშირის კანონმდებლობასთან, რომელიც დინამიკურია და ხშირად იცვლება, მაგრამ, მთავარი ის კი არ არის, რა წერია ფურცელზე, მთავარია, ფურცელზე დაწერილი ცხოვრებაში როგორ სრულდება.

საჭიროა სექტორალური რეფორმების გატარება. მე ამას დავარქმევდი საბჭოურიდან ევროპული მიმართულებით ტრანსფორმირებას. თუ ამას დროულად და ეფექტურად შევძლებთ, ეს ძალიან მნიშვნელოვანი იქნება.

# არჩილ გამზარდია: „კოალიცია უნდა დაიშალოს და პარტია „ქართული ოცნება“ არჩევნებზე ცალკე გავიდეს“

გულიკო ბალაძე

როდის გავლენ რესპუბლიკელები კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ – არჩევნებამდე თუ არჩევნების შემდეგ? აქვს თუ არა რესპუბლიკურ პარტიას „ქართული ოცნების“ გარეშე ხელისუფლებაში მოხვედრის შანსი? ამ და სხვა საკითხებზე „ახალ თაობას“ ანალიტიკოსი არჩილ გამზარდია ესაუბრა.

***— ბატონო არჩილ, რესპუბლიკელები კოალიცია „ქართული ოცნებიდან“ გადიან?***

— ამ წუთისთვის ეს საკითხი არ დგას. ლაპარაკია იმაზე, რომ რესპუბლიკელები გადადიან სტრატეგიულ პარტნიორობაზე პარტია „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციის ფარგლებში, რაც გულისხმობს უფლება-ვალდებულებების განსაზღვრას.

***— უსუფაშვილის განცხადებებს თუ გავშიფრავთ, დიდი შანსია, რესპუბლიკურმა პარტიამ არჩევნების წინ თუ არა, არჩევნების შემდეგ მაინც დატოვოს კოალიცია.***

— რესპუბლიკური პარტია ჯერჯერობით მზად არ არის, რომ მარტო წარმატებულად გავიდეს არჩევნებზე. შესაბამისად, მას აუცილებლად სჭირდება მოკავშირე. ასეთი მოკავშირე შეიძლება იყოს ორი სუბიექტი – ნაცმოძრაობა ან „ქართული ოცნება“. რესპუბლიკელებმა ნაცმოძრაობასთან კოალიცია რომ შეკრან და მასთან ერთად ორგანულად შეძლონ არჩევნებზე გასვლა, ამისთვის დრო ცოტაა. რესპუბლიკური პარტიის ინტერესი შეიძლება იყოს მხოლოდ „ქართულ ოცნებასთან“ კოალიციაში ყოფნა.

დიდი ალბათობით, თუკი არჩევნებში ერთად გავლენ, „ქართული ოცნება“ შემდეგ შეიძლება დაიშალოს, თუმცა დღეს ამის პროგნოზირება ძნელია.

***— რესპუბლიკელების გასვლით მმართველი კოალიცია დაიშლება?***




— რესპუბლიკელების გასვლით კოალიცია არ დაიშლება, მაგრამ იმ პარტიებს შორის, რომლებიც ხელისუფლებაში თანამონაწილეობენ, რესპუბლიკელებს მნიშვნელოვანი რგოლი აქვთ.

***— ეს, ალბათ, იქიდან გამომდინარეობს, რომ მათ დიდი პრეტენზიები აქვთ.***

— პრეტენზიები აქვთ, მაგრამ, გარკვეულწილად, ნორმალური პროცესია. ისინი ცდილობენ, მთელი ძალისხმევა იქით მიმართონ, რომ ხელისუფლებაში გავლენა მოიპოვონ. შიდა კონკურენცია ნორმალურია.

***— თავისუფალ დემოკრატებთან კოალიციაში რესპუბლიკელები ერთად ვერ გამოვლენ?***

— თავისუფალ დემოკრატებთან გაერთიანება რესპუბლიკელებს დღეს განსაკუთრებულ პერსპექტივას არ მისცემს.

***— თქვენი შთაბეჭდილებით, რა შედეგით გამოვიდნენ რესპუბლიკელები პრემიერთან შეხვედრიდან?***




— რატომღაც საზოგადოებამ ისე აღიქვა, რომ პრემიერი მხოლოდ რესპუბლიკელების მისამართით გამოვიდა კრიტიკით. ასე არ არის. პრემიერმა გააკრიტიკა როგორც მრეწველები, ისე რესპუბლიკელები. სავსებით ნორმალური პროცესია. რესპუბლიკელებმა მეტი სიცხადე მოინდომეს.

***— სიცხადის შეტანა უნდოდათ თუ იუკადრისეს, როგორ თუ პრემიერმა გაგვაკრიტიკაო. პრემიერი ხომ თავდაცვის მინისტრის გათავისუფლებით იმუქრებოდა?***

— პრემიერი არის უდიდესი ძალაუფლების მფლობელი, იმაზე დიდი ძალაუფლების, ვიდრე წინა ხელისუფლებაში პრეზიდენტი იყო.

***— ზოგმა ისე გაიგო, რომ რესპუბლიკელები უფრო გაძლიერებულები გამოვიდენ პრემიერთან შეხვედრიდან.***

— მე მგონია, რომ რესპუბლიკელები პრემიერთან შეხვედრიდან არც უფრო გაძლიერებულები გამოვიდნენ და არც უფრო დასუსტებულები. პრემიერმა მათ მისცა საჯარო შენიშვნა. მათ მიიღეს ინფორმაცია და პრემიერთან გარკვეულ ქმედებათა პრინციპზე შეთანხმდებოდნენ. ამიტომაც გარკვეულ სტრატეგიულ თანამშრომლობაზე გაკეთდა განცხადებები. ეს ორი პარტიის თანამშრომლობას არ ნიშნავს. ეს ერთი შეხედვით უცნაურია, რადგან კოალიციაში სხვა პარტიებიც შედიან, მაგრამ ამ შეხვედრამ მეტი ნათელი მოჰფინა საკითხს.

***— რამდენად საჭირო იყო საკონსტიტუციო ცვლილებასთან დაკავშირებით რესპუბლიკელების განცხადება, რომელიც შეეხებოდა ოჯახის ინსტიტუტს?***

— ე.წ. ერთსქესიანთა ქორწინების საკითხი ჩვენთან ხელოვნურად არის წამოწეული. რესპუბლიკელებს არ უთქვამთ, პრემიერის იდეას იზიარებენ თუ არა. მათ მხოლოდ ის თქვეს, დამატებითი ფორმულირება საჭირო არ არის, იმიტომ, რომ კონსტიტუციაში შემავალი დანარჩენი ცნებები ისედაც ცხადყოფს, ოჯახი არის ქალისა და მამაკაცის ერთობა.

***— იყო თუ არა ამის თაობაზე განცხადება კოალიციაში შემავალი პარტიის ლიდერების მხრიდან?***

— როდესაც კოალიციაში შედის რამდენიმე პარტია, ერთი ტიპი სამოქმედო სივრცისა და განცხადებებისა არის მმართველი ძალის ფარგლებში, მეორეა ცალკე პარტიის ხედვები. არ არსებობს ვალდებულება, რომ ცალკე დაზუსტება მომხდარიყო. ამიტომაც განცხადება გააკეთა პარტიის გარკვეულმა ნაწილმა და არა – მმართველ ძალაში მყოფმა პირებმა. ამაში ურთიერთგამომრიცხავი არაფერია.

***—განცხადება უსუფაშვილმა გააკეთა. თქვენ ვის გულისხმობთ მმართველ ძალაში არმყოფ პირებში?***

— განცხადებების ნაწილს ხომ აკეთებს პარტიის თავმჯდომარე სამნიძე. უსუფაშვილმა გააკეთა განცხადება, როგორც ერთ-ერთმა უმაღლესი თანამდებობის პირმა.

***— ანუ რესპუბლიკური პარტია კოალიციურ თამაშში კი არ მონაწილეობს, არამედ უკვე საკუთარ თამაშს თამაშობს?***

— რესპუბლიკური პარტია ყოველთვის საკუთარ თამაშს თამაშობდა, მიუხედავად იმისა, ის მარტო იყო თუ სხვადასხვა ძალასთან ერთად, იმავე კოალიცია „ქართულ ოცნებასთან“.

***— ავნებს თუ არა რესპუბლიკური პარტიის ასეთი პოზიციები კოალიციასა და ხელისუფლებას?***

— კოალიციაში შემავალი სუბიექტების ნებისმიერი განცხადება, რომელიც მმართველი ძალის პოზიციისგან ძალიან განსხვავებულია, უხერხულობებს ქმნის. ყველაზე გონივრული იქნებოდა, კოალიცია დაშლილიყო და „ქართული ოცნება“ პარტიის სახით გასულიყო არჩევნებზე. ეს ბევრად მეტ დადებით შედეგს მოიტანდა.

***— თქვენ რესპუბლიკელებს არასანდო პარტნიორებს უწოდებთ. რატომ?***

— რესპუბლიკურ პარტიას ბევრი დადებითი მხარე აქვს, მაგრამ ისინი პოლიტიკურ თანამებრძოლებში ვერ ქმნიან ერთგული თანამებრძოლების შთაბეჭდილებას, იმიტომ, რომ ზედმეტად არიან მოტივირებულნი თვითდაზღვევაზე, ყოველთვის იტოვებენ გზას, რომ შემდეგ მშვიდად დაუპირისპირდნენ მას, ვისთანაც პარტნიორულ ურთიერთობაში არიან. ეს კი მათ სანდოობას ცოტა ამცირებს.

# დავით უსუფაშვილი: „შესაძლოა, ნოემბერში ამ თანამდებობაზე აღარ ვიყო“

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი კონფერენციას „სასკოლო განათლება – საქართველოს მომავალს“ დაესწრო. კონფერენციაზე უსუფაშვილმა განათლების საკითხზე ვრცლად ისაუბრა და აღნიშნა, რომ ეფექტური შედეგების მისაღებად ნებისმიერ სფეროში საჭიროა ოპოზიციონერებთან შეთანხმება, რადგან სასურველ შედეგებს 4-წლიანი მმართველობა არ ჰყოფნის.

— ამ ტრიბუნიდან სიმართლის თქმა ყველაზე უპრიანია. პრობლემა ჩვენში, პოლიტიკოსებშია. ეს პრობლემა ნათლად ჩანს არა მხოლოდ განათლების სფეროში, არამედ ყველა იმ სფეროში, რომელთა რეფორმასაც გრძელვადიანი ხედვა და პოლიტიკის განსაზღვრა-გაყოლა სჭირდება.

საპენსიო რეფორმას თავი ვერ მოვაბით. ეს იმიტომ, რომ ამის ბოლომდე გატანას 2 თვე ნამდვილად არ ჰყოფნის. მას 12-16-წლიანი ციკლი სჭირდება. ასევეა განათლების სფეროც. რჩება ისეთი განცდა, რომ ყოველი ხელისუფლება თავიდან იწყებს. აქ მყოფ დამსწრე საზოგადოებას შორის ჩვენს ოპოზიციონერ კოლეგებს ვერ ვხედავ. არადა, რაზეც ახლა ვსაუბრობ, ეს შეიძლება, ნოემბრიდან რომელიმე მათგანის გასაკეთებელი გახდეს. არჩევნები იქნება და შეიძლება, მე აქ აღარ ვიჯდე. ოპონენტებთან საუბარი უნდა შეგვეძლოს. ამ საკითხებზე უნდა ჩამოვყალიბდეთ. სხვა შემთხვევაში ყველანაირი შრომა წყალში ჩაიყრება, – განაცხადა დავით უსუფაშვილმა.

**ნიუსპრესი**

**სამკურნალო-სარეაბილიტაციო მასაჟი**

სერტიფიცირებული და სტაჟიანი მასაჟისტი გთავაზობთ სამკურნალო და გამაჯანსაღებელ მასაჟს. ოსტეოქონდროზის, ძვალსახსროვანი დაავადებების, ნევრიტების, პოსტტრავმული-სარეაბილიტაციო, მყესის დაჭიმულობის, კუნთის გათიშვის და ინსულტის შემდგომი პერიოდის მასაჟს. ჩვილ ბავშვთა და მოზარდთა მასაჟს: ბრტყელი ტერფი, დისპლაზია, ხერხემლის დეფორმაციები, პარეზი, კისერმრუდობა, რაქიტული და სიმაღლეში ზრდის სპეციალურ მასაჟს ვარჯიშებთან ერთად. აგრეთვე კოსმეტიკურ, გასახდომ და ცელულიტის დამშლელ მასაჟს თაფლით და ვაკუუმით. საუკეთესო შედეგებით.

☎ 555-02-32-08. ქალბატონი ფიქრია

# სოფო ხორგუანი: „მე რომ მედიამაგნატი ვიყო, რუსთავი 2-ის ყიდვასაც შევეცდებოდი“

ნონა ცაბაძე

კრიზისების მართვის მენეჯერი **სოფიო ხორგუანი** „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ტელეკომპანია მაესტროს ირგვლივ განვითარებულ პროცესებს აფასებს.

***– სოფიო, გვესმის შეფასებები, რომ მაესტროს ირგვლივ განვითარებული პროცესები ზედმეტად ანგაჟირებული, პოლიტიზებულია. რას ფიქრობთ თქვენ ამ ყველაფერზე?***

– მეც ვფიქრობ, რომ თემა ძალიან ანგაჟირებულია, მაგრამ ეს ნორმალურია. ნორმალური იმ თვალსაზრისით, რომ არავინ არავის უშლის ხელს, ასე მძაფრად გამოხატოს თავისი პოზიციები. ხშირ შემთხვევაში, ძალიან ბევრი უპასუხისმგებლო განცხადება კეთდება, თუმცა ამისთვის არავინ ისჯება.

ჩემთვის, როგორც მოქალაქისთვის, მნიშვნელოვანია, რომ ამ პროცესში ხელისუფლების მონაწილეობა არ არის. ეს არის ძალიან დადებითი რამ.

***– თუმცა აქტიურად ადანაშაულებენ ხელისუფლებას, რომ სწორედ მისი ინტერესია და რომ ეს არის პოლიტიკური ბრძოლა მაესტროსა და ხელისუფლებას შორის.***

– კი, მეც მოვისმინე ეს შეფასებები, თუმცა აქ ხელისუფლების ინტერესს ვერ ვხედავ. ის, რომ მედია არ არის ჩვეულებრივი ბიზნესი და ის კავშირშია პოლიტიკასთან, აქსიომაა. ის, რაც მასობრივია, ყოველთვის იქნება რაღაც კავშირში პოლიტიკასთან. დავუშვათ, რომელიღაც მედიასაშუალებას უნდა, რომ იყიდოს მაესტრო.

***– ეს რამდენად სწორი და კანონიერი მცდელობაა?***

– მე რომ ვიყო მედიამაგნატი და მქონდეს საშუალება, არათუ მაესტროს, არამედ რუსთავი 2-ის ყიდვასაც შევეცდებოდი, როგორც წარმატებული ბიზნესპროექტის, წარმატებული მედიაპროექტის. ამაში ცუდს ვერაფერს ვხედავ. შენ თუ უყურებ მედიას, როგორც ბიზნესს, შენ გინდა, რომ გაფართოვდე და მეტი იყო, თუ მედიამაგნატი ხარ. ასე მოიქცეოდა მსოფლიოში ნებისმიერი მედიამაგნატი. მთავარია, არ დაირღვეს კანონი, კანონმდებლობის დაცვით ხდებოდეს მთელი ეს პროცედურა. იმისთვის, რომ კანონი იყოს დაცული და მთელი ეს ბიზნესშეთანხმება კანონის ფარგლებში ხდებოდეს, ამისთვის ჩვენ ძალიან ბევრი უწყება გვაქვს მაკონტროლებლად, თუნდაც მარეგულირებელი კომისიით დაწყებული.

***– ოდესმე დასრულდება ეს დავა?***

– ჩემი აზრით, ეს დავა ძალიან მალე უნდა დასრულდეს. მგონია, რომ კონკრეტულ შეთანხმებას მიაღწევენ ეს ადამიანები. ერთი მხარე ყიდის, მეორე ყიდულობს, ალბათ, სადღაც რაღაც შეთანხმებამდე მივლენ, ასეთი პირი უჩანს. მე ნამდვილად არ მრჩება შთაბეჭდილება, რომ ამაში ხელისუფლებაა გარეული.

***– მაშინ ვის აწყობს საკითხის პოლიტიკურ ჭრილში გადატანა?***

– აშკარად ვხედავ, რომ აქ ვაჭრობა მიდის. ვინ როგორ ვაჭრობს, ეს უკვე სხვა თემაა. რა მეთოდს გამოიყენებენ იმისათვის, რომ უკეთესად ივაჭრონ, ეს მათი არჩევანია. ვინ როგორ განცხადებას გააკეთებს, ჩემთვის ეს გემოვნების საკითხია, სანამ ისინი კანონს არ არღვევენ. როგორც კი კანონს დაარღვევენ, რა ტიპის განცხადებაც არ უნდა გააკეთოს ან ერთმა მხარემ, ან მეორემ, კანონის წინაშე ყველა თანასწორია.

***– თქვენ სიტყვა ვაჭრობა ახსენეთ, ვინ უკეთ ვაჭრობსო. ვაჭრობა მიდის დამფუძნებლებს შორის და ერთი მხარე პოლიტიკური განცხადებებით ვაჭრობს?***

– დიახ, ასეა, მაგრამ მას აქვს ამის უფლება და მოდით, ნუ განვსჯით მკაცრად. აღვნიშნე კიდეც, რომ ეს გემოვნების საკითხია. შეიძლება ჩვენ ასე არ ვივაჭროთ. აქ მთავარია, კანონი არ დაირღვეს. ბოლო ინფორმაციაში, რომელსაც გავეცანი, ნათქვამია, რომ ნაპოვნია ახალი შენობა, სადაც გადავა მაესტრო. მე მგონი, ყველაფერი სიმშვიდისკენ მიდის. ყველაფერი ცივილიზებულად უნდა გადაწყვიტონ. ეს მოლაპარაკების საკითხია. ალბათ, შეთანხმდებიან კონკრეტულ თანხაზე ან კონკრეტულ პირობებზე. მეც რომ ვყოფილიყავი მედიამაგნატი, შევიძენდი ყველა მედიასაშუალებას, რის უფლებასაც მომცემდა კანონი.

***– ეს ჯანსაღი პროცესია?***

– რასაკვირველია. მე გეტყვით, რა იყო არაჯანსაღი, როდესაც მედია



ზედმეტად პოლიტიზებული იყო და მერე როგორი რეაქცია ჰქონდა სახელმწიფოს. არაჯანსაღი, იცით, რა იყო? როდესაც სახელმწიფო შევარდა ტელეკომპანია იმედში. აი, ეს იყო ძალიან საშიში. ეს იყო დანაშაული. სწორედ ის იყო დანაშაული, რასაც იმდროინდელი ხელისუფლება აკეთებდა, დადიოდა და აყადაღებდა თეფშებს. დღეს სადმე მსგავს პროცესებს ხედავთ?! პრემიერის პოსტის დაკავების შემდეგ ბიძინა ივანიშვილმა გააჩუქა თავის მფლობელობაში არსებული მედიასაშუალება. ეს იყო ჯანსაღი, ძალიან კარგი პროცესი!

***– თუმცა ამის გამო ბევრმა უსაყვედურა.***

– კი, ასე იყო. დღეს შეიძლება ბევრს არ მოეწონოს ჩემი შეფასება, მაგრამ მე მიმაჩნია, რომ ეს იყო სწორი გადაწყვეტილება. ეს იყო კარგი გადაწყვეტილება. ეს იყო ჯანსაღი გადაწყვეტილება. როდესაც ხელისუფლების სათავეში მოვიდა ბიძინა ივანიშვილი, მან გაასხვისა თავისი მედიასაშუალება. იმ დროს ეს იყო სრულიად ჯანმრთელი პოზიცია.

***– თქვენ აცხადებთ, მედიამაგნატი რომ ყოფილიყავით, შეეცდებოდით შეგეძინათ ბაზარზე არსებული ტელეკომპანიები. დღეს გამოითქმის ეჭვები, რომ, არ არის გამორიცხული, მაესტრო გახდეს იმედი 2. რამდენად საფუძვლიანია ეს ეჭვები? ემუქრება ეს საფრთხე მაესტროს?***

– მე ვერ ვხედავ ამ საფრთხეებს. მე, მაგალითად, მხოლოდ მაესტროს კი არა, რუსთავი 2-საც შევიძენდი, თუკი კანონი მომცემდა ამის საშუალებას. მე ასე ვუყურებ ამ საკითხს და სწორედ ასე მოიქცეოდა ნებისმიერი მედიამაგნატი.

***– მერედა ეს არ იქნება ერთი ხაზი, ერთი პოლიტიკის გატარება ამ ტელევიზიებში? არ დაიკარგებოდა თავისუფლების ხარისხი?***

– ჩვენ შეშინებულები ვართ და ცუდი გამოცდილება გვაქვს, ამაში გეთანხმებით, მაგრამ, თუკი კანონი საშუალებას მაძლევს, შევიძინო მედიასაშუალება ერთი, ორი, სამი და ასე შემდეგ, თუ ეს მონოპოლიად არ ჩაითვლება, რატომ არ უნდა გავაკეთო ეს?! სახელმწიფო ხომ იცავს თავს ამისგან, რომ ყველაფერი ერთის ხელში არ მოხვდეს, პროცენტებს ითვლიან. ამისთვის ხომ არსებობს მარეგულირებელი კომისია, რომლის წევრებიც კოსმიურ ხელფასებს იღებენ. დადგნენ და ითვალონ მათ ეს პროცენტები, მეათედები და მეასედები, აქვს თუ არა ვიღაცას იმის უფლება, გახდეს ასეთი მედიამაგნატი. ჩვენ რატომ უნდა ვნერვიულობდეთ ამ საკითხებზე?! მათ ითვალონ. სწორედ მათ უნდა მოვთხოვოთ, მიადევნონ თვალი, რომ იქ ყველამ კანონი დაიცვას.

***– როდესაც ერთი მაგნატის ხელში მოექცევა მედიასაშუალებები, უფრო დიდი საფრთხე არ იქნება იმისა, რომ მარტივად მოექცეს პოლიტიკური გავლენის ქვეშ, ვიდრე მაშინ, როცა ყველა ტელევიზიას სხვადასხვა მფლობელი ჰყავს?***

– როდესაც მედიასაშუალება ძლიერი მაგნატის ხელში იქნება, უფრო ძლიერი იქნება და წელში კარგად გამართული. ასეთ მედიასაშუალებას თავის დაცვაც უკეთ შეეძლება პოლიტიკური ზეგავლენებისგან. როცა შენ ძლიერი ხარ, მაგარი ხარ, სახელმწიფოს ვალი არ გაქვს, როგორ უნდა დაგიქვემდებაროს ხელისუფლებამ? გვახსოვს, რომ სულ ვალების ჩამოჭრაზე მიდიოდა საუბარი წინა ხელისუფლების დროს და სწორედ ამ დროს ექცევიან ზეგავლენის ქვეშ, როდესაც დავალებულები არიან. შენ თუ ფინანსურად მყარად დგახარ ფეხზე, ეს საფრთხე არ გემუქრება, ვერ გაგიბედავს ხელისუფლება, რომ რამე დაგიშავოს. მე ძალიან მინდა, რომ ჩვენი მედია იყოს ძალიან ძლიერი და წელში გამართული.

***– ჩვენ ასევე მოვისმინეთ განცხადებები, რომ მაესტრო რუსული ფულით ფინანსდება, რომ იგრძნობა რუსული ინტერესები. ამის თაობაზე რას იტყვით?***

– რეალურად ეს არის მოცემულობა. როგორ უნდა ვთქვათ, რომ ეს ასე არ არის. რუსულ ფულში რას ვგულისხმობთ? პირდაპირ ფსბ-ს ფული მოდისო? მე ამის დამტკიცება არ შემიძლია, ხოლო ბიზნესმენი, რომელიც ფლობს ამ ფინანსებს, არც მალავს და არავისთვის ახალი ამბავი არ არის, რომ რუსეთში მოქმედი ბიზნესმენია.

როდესაც საუბარია ფულის წარმომავლობაზე, ამერიკული ფულია თუ რუსული, მე ამ შემთხვევაში სახელებსა და გვარებს თავს დავანებებ და უბრალოდ ვიტყვი, რომ მე, პირადად, ამერიკის საგადასახადო სისტემას, იქაურ ფინანსურ ინსტიტუტებს უფრო ვენდობი, ვიდრე რუსეთის საგადასახადო სისტემას ან ფინანსურ ჯგუფებს. თუმცა აქ მთავარი სხვა რაღაცაა.

***– რა?***

– ეს ფული გინდა კამბოჯაში მქონდეს ნაშოვნი და გინდა ჩინეთში, თუკი მე ეს ფული ლეგალურად შემომაქვს და ლეგალურად ვხარჯავ ამ სახელმწიფოში, არავის საქმე არ არის, სად ვშოულობ. მთავარია, მე კანონი არ დავარღვიო და იყოს ლეგალური ფული. ამისთვის მაკონტროლებლები გვყავს და ამაზე ჩვენ არ უნდა ვნერვიულობდეთ.

# ზუგდიდის თეატრში ჭერი ჩამოინგრა

ზუგდიდის შალვა დადიანის სახელობის პროფესიულ სახელმწიფო დრამატულ თეატრში ჭერი ჩამოინგრა. თეატრი უკვე რამდენიმე თვეა დახურულია. შეჩერებულია შემოქმედებითი პროცესი, არც რეპეტიციები მიმდინარეობს და არც სპექტაკლების ჩვენებები. ამის მიზეზი შენობის უმძიმესი მდგომარეობაა.

ისედაც რთული მდგომარეობა თეატრში კიდევ უფრო გართულდა. ინფორმაციას და დანგრეული თეატრის შენობის ფოტოებს ზუგდიდის თეატრი ავრცელებს:

– 8 მარტს ღამით, ჩამოინგრა ჭერი დირექციის მისაღებ ოთახში და დილით მისულ თანამშრომლებს დაგვხვდა ეს სამწუხარო რეალობა. აქვე გაცნობებთ, რომ თეატრში იმყოფებოდნენ კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს მიერ დაფინანსებული სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს წარმომადგენლები და უახლოეს მომავალში ველოდებით ოფიციალურ დასკვნას. ვიმედოვნებთ, რომ არ დააყოვნებს შესაბამისი სტრუქტურების შემდგომი ნაბიჯებიც, ვინაიდან არსებული მდგომარეობა ყოველდღიურად მძიმდება და უკიდურესად საგანგაშოა!

ზუგდიდის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი ბადრი წერედიანი დროულ თანადგომას ითხოვს:

– აღარ ვიცი, რა ვქნა და რა ვუთხრა ჩემს მსახიობებსა და ქალაქის მოსახლეობას. კიდევ ერთი სეზონის დასასრულს და ამ პირობებში მსახიობებმა მაქსიმალური მოახერხეს და მაყურებელმაც კიდევ ერთხელ არნახული თანადგომა გამოგვიცხადა...

მაგრამ სანამდე? თეატრის უხუცესი მსახიობი ზემფირა გუნია ისევ ავადაა და დასის უმეტესი მსახიობები იმავე მდგომარეობაში არიან... მაქვს ამის უფლება? რაც თეატრმა ბოლო პერიოდში მოახერხა, ამას ჩვენი მაყურებლები და პროფესიონალები აფასებენ ჩვენზე კარგად...

მაგრამ მე ერთი კითხვა მაწუხებს, აწი რა ვქნათ? ნუთუ ყველაფერს ერთი ფასი აქვს? რა გავაკეთოთ კიდევ??? მე რომ 3-ნახევარი მეტრიდან ჩამოვვარდი და გადავრჩი, ეს დავუშვათ და არაფერი მაგრამ, თანამშრომლებიდან ვინმე რომ დამეღუპოს, პასუხს ვის მოსთხოვენ??? მაქვს ამის უფლება??? ჩვენ იქით ვინმეს კიდევ აწუხებს ეს მდგომარეობა???

შეგახსენებთ, რომ თეატრის 150 წლის იუბილე უკვე ძალიან ახლოსაა, თუ ეს ფაქტი, უბრალოდ, დაივიწყეთ???

ნუთუ გგონიათ, რომ თეატრის შენობა მშვიდად დაინგრევა და არც არაფერი???

ასე გგონიათ მართლა?!?

ეკა ირემაშვილი



# ჩრდილოეთ კორეამ ახალი ბალისტიკური რაკეტები გაუშვა




ჩრდილოეთ კორეამ ბალისტიკური რაკეტების მორიგი გამოცდა განახორციელა, ამას გარდა, ფხენიანმა ჩრდილოეთ კორეასთან დადებული რიგი შეთანხმებებიც გააუქმა.

გაუქმებულია ჩრდილოეთ კორეის ტერიტორიაზე არსებული სამხრეთელთა აქტივები, ასევე გაუქმებულია ხელშეკრულებები საკურორტო ზონის ერთობლივი ათვისების თაობაზე.

# ფედერიკა მოგერინი: „რუსეთი მოვალეა, სავჩენკო გაათავისუფლოს“



ევროკომისარმა საგარეო ურთიერთობების დარგში ფედერიკა მოგერინიმ განაცხადა, რომ რუსეთი მოვალეა უკანონოდ დაკავებული უკრაინელი მფრინავი ნადეჟდა სავჩენკო გაათავისუფლოს.

– სავჩენკოს პატიმრობაში დატოვება არანაირ იურიდიულ ჩარჩოში არ ჯდება! – ამბობს მოგერინი.

# ინგუშეთში ჟურნალისტებს თავს დაესხნენ



ინგუშეთში ჟურნალისტებისა და უფლებადამცველების ჯგუფი ჩავიდა. ისინი „წამების თავიდან აცილების კომიტეტს“ განეკუთვნებოდნენ.

– ჩვენ ჩეჩნეთში გადასვლა გვსურდა, – განუცხადა ჯგუფის ერთ-ერთმა წევრმა რადიო „თავისუფლების“ კორესპონდენტს.

ჩეჩნეთში გადასვლა ვერ მოხერხდა. მიკროავტობუსს, რომელსაც უფლებადამცველები უნდა გადაეყვანა, 25-მდე ჯოხებით აღჭურვილი მამაკაცი დაესხა თავს. მათ სტუმრები მიკროავტობუსიდან გადმოათრიეს და სასტიკად სცემეს.

– არსებობს საფუძვლიანი ეჭვი, რომ თავდამსხმელები რამზან კადიროვის ხალხი იყო, – იტყობინება 112-ე არხი.

ინგუშეთის პოლიციამ მომხდარის გამო სისხლის სამართლის საქმე აღძრა. მიმდინარეობს გამოძიება, თუმცა ბევრს ეჭვი ეპარება, რომ თავდამსხმელებს დაიჭერენ. თუ ამ აქციის უკან მართლაც რამზან კადიროვი დგას, საეჭვოა, რომ თავდამსხმელებს მიაკვლიონ. კადიროვი შესაძლოა მოხსნან, მაგრამ პუტინი მას ბოლომდე არ გაწირავს.

**მოამზადა ნიკა თევზაძემ**

# აფხაზეთის საზოგადოება შსს-ს დაუპირისპირდა

## შეხლა-შემოხლის დროს შს მინისტრის მოადგილე დაშავდა

მარიამ მჭედლიშვილი

ანექსირებულ აფხაზეთში პოლიტიკური არასტაბილურობა გრძელდება, კრიმინოგენური სიტუაცია კი მწვავდება.

რამდენიმე თვის წინ შინაგან საქმეთა მინისტრად დანიშნულმა ლეონიდ ძიაპშბამ პირობა დადო, რომ კრიმინალს შეამცირებდა.

დღეს ლეონიდ ძიაპშბას საზოგადოება დაუპირისპირდა. ამჯერად ხალხი არა კრიმინალის შემცირებას, არამედ შინაგან საქმეთა მინისტრის გადადგომასა და ძალაუფლების გადამეტებაში მონაწილე პოლიციელების პასუხისგებაში მიცემას მოითხოვს.

ხალხი მოთხოვნას არ ცვლის, თუმცა ამ მიზნით მუდმივი აქციები არ ტარდება. ლეონიდ ძიაპშბას საწინააღმდეგო მასშტაბური აქცია 9 მარტს სოხუმის ცენტრში, თავისუფლების მოედანზე დაიწყო და შინაგან საქმეთა სამინისტროსთან გაგრძელდა.

მომიტინგეები გამოვიდნენ რუსლან ჯელიას მხარდასაჭერად. რუსლან ჯელია აფხაზეთის გმირადაა აღიარებული. იგი 2015 წლის ნოემბრამდე გულრიფშის რაიონის სოფელ დრანდის წინასწარი დაკავების იზოლატორის ხელმძღვანელი იყო და ამ თანამდებობიდან მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც იზოლატორიდან დაკავებული გაიქცა. გაქცეული ბაჩუკი ლატარია, რომელსაც ბრალად ედება ადამიანების გატაცება გალის რაიონიდან, მალევე დააკავეს.

რუსლან ჯელიას, ასევე ლატარიას წინააღმდეგ გამოძიება არ შეწყვეტილა.

ახლანდელი პროტესტის მიზეზი გახდა ის, რომ საგზაო პოლიციამ ამ ჯელიას მანქანას ცეცხლი გაუხსნა. ამის შედეგად მსხვერპლი არ არის. დაზიანდა ჯელიას კუთვნილი ავტომობილი.

საპროტესტოდ შეკრებილი მოქალაქეები ირწმუნებოდნენ, რომ რუსლან ჯელიას, რომელსაც საგზაო მოძრაობის წესები არ დაურღვევია, სროლა პირადად მინისტრის მითითებით აუტეხეს.



– რას ერჩოდნენ? აფხაზეთის გმირი თავის მეუღლესთან ერთად გადაადგილდებოდა მანქანით. მას არანაირი წესი არ დაურღვევია. თურმე საგზაო პოლიციას მისი გაჩერება უნდოდა. მას ეს არ დაუნახავს. მერე ადგნენ და ცეცხლი გაუხსნეს. ასეთი რამ მინისტრის გარეშე ვერ მოხდებოდა. ამიტომ მინისტრი უნდა გადადგეს, სხვა დამნაშავეებიც უნდა მიეცნენ პასუხისგებაში, – ამბობს ჯელიას ნათესავი.

შინაგან საქმეთა სამინისტროსთან მომიტინგეებთან სასაუბროდ გამოვიდნენ შს მინისტრი და სხვა მალალჩინოსნები. ამ დროს მოხდა შეხლა-შემოხლა, რომლის დროსაც მინისტრის მოადგილე დაშავდა.

მძიმე კრიმინოგენურ სიტუაციაზე აფხაზეთის მოსახლეობა დიდი ხანია ჩივის. იქ ხშირია მძიმე დანაშაული. ცოტა ხნის წინ ჩატარებულმა სოციოლოგიურმა გამოკითხვებმა დაადასტურა, რომ ხალხი წინსვლას ვერ ხედავს ვერცერთ სფეროში. ადამიანები ამბობენ, რომ კრიმინალი არ შემცირებულა.

# ლეო მაკკენა: „PPP მოდელის ყველაზე დიდ სარგებელს ხარჯთეფექტურობა წარმოადგენს“

ქართული კლინიკები გარკვეულ პერიოდში ევროპულ სტანდარტებს უნდა მიუახლოვდნენ. ერთ-ერთი ამბიციური რეფორმატორული პროექტის ფარგლებში სამი ძირითადი საავადმყოფოს, კერძოდ, ცენტრალური რესპუბლიკური საავადმყოფოს, თბილისის ონკოლოგიური ცენტრისა და თბილისის ბავშვთა ინფექციური კლინიკური საავადმყოფოს სრული რეაბილიტაცია იგეგმება, ამასთან ერთად, პროექტი სამედიცინო ხარჯების 30 პროცენტით შემცირებას გვპირდება.

ჰოსპიტალური სექტორის განვითარების პროექტში საქართველოს საპარტნიორო ფონდმა ალფამედიკის კონსორციუმთან და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსთან ერთად გეგმის განხილვა დაიწყო. ქართული და ავსტრიული მხარეები სამედიცინო კლასტერის PPP პროექტის განხილვის მიზნით ერთმანეთს თბილისში რამდენჯერმე შეხვდნენ. აღნიშნული პროექტი ალფამედიკის კონსორციუმის მიერ საქართველოში ჯანდაცვის (მათ შორის პირველადი ჯანდაცვის) სერვისების გაუმჯობესების ფარგლებში მთავრობის მიერ გამოცხადებული ტენდერისთვის იქნა შემუშავებული.

ალფამედიკის კონსორციუმის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ისინი მზად არიან, სამი საავადმყოფოს რეაბილიტაციის პროექტში 250 მილიონი ლარის ინვესტიცია განახორციელონ. მინისტრის განცხადებით, მოსალოდნელია, პროექტის ჯამური ღირებულება 0.5 მილიარდ ლარს მიუახლოვდეს, რომელიც, ხელშეკრულების თანახმად, ერთობლივად დაიფარება ტენდერში გამარჯვებული კომპანიისა და საპარტნიორო ფონდის მიერ.



ამ მნიშვნელოვანი დეტალების უკან მეტად დამაინტრიგებელი ფაქტორია – როგორ აპირებს ავსტრიული მხარე ზემოხსენებული პროექტის განხორციელებას?! ვენაში დაფუძნებული კომპანია ფოკუსირებას PPP პროექტებზე ახდენს. უფრო შესაფერისი იქნება ვთქვათ, რომ ეს არის ხარისხისა და ფულის თანაფარდობის პროექტი, შედეგზე ორიენტირებული შეთანხმება, რომელიც მონიტორინგს უწევს გამარჯვებული კომპანიის ვალდებულებას – მოიზიდოს ინვესტიციები და შექმნას სამი საავადმყოფოს განვითარების გეგმა. ამასთან ერთად, ალფამედიკის კონსორციუმმა უნდა დააპროექტოს, ააშენოს, აღადგინოს და მოახდინოს სახელმწიფო სამედიცინო კლინიკების მაღალი თანამედროვე ტექნიკით აღჭურვა, რათა ისინი მიუახლოვდნენ ევროპულ სტანდარტებს.

ალფამედიკის სატენდერო განვითარების ხელმძღვანელი ლეო მაკკენა, რომელსაც გააჩნია უდიდესი გამოცდილება და ცოდნა PPP პროექტებთან მიმართებით, პროექტის განხორციელებისთვის საჭირო და აუცილებელ მნიშვნელოვან ფაქტორებზე საუბრობს: „პროექტის განსახორციელებლად საჭიროა ორი ფუნდამენტური საფუძველი – ლოჯისტიკის ცოდნა და დაფინანსება, რომელიც უკვე სახეზეა“, – ამბობს ის. „ჩვენ დარწმუნებული ვართ ჩვენი ქართველი პარტნიორების გამჭვირვალობასა და ერთგულებაში. ზოგადად, ასეთ პროექტებში მთავარი მტერი ბიუროკრატიაა. ამ ყველაფრის ერთადერთი ანტიდოტი გადაწყვეტილების მიღების უნარია და ჩვენ გვჯერა, რომ ამ შემთხვევაში ამას შევძლებთ“.

ბიუროკრატია მართლაც არ უნდა წარმოადგენდეს მნიშვნელოვან პრობლემას და როგორც წინა, ისე ამჟამინდელი მთავრობა იბრძვის პროცესების ეფექტურად წარმართვისთვის. დაუნდობელი ოლიგოპოლია – ეს არის ის, რაც გვესმის ამ დღეებში ფარმაცევტულ ბაზარზე გამოწვეული შიშით – თუ რის გაკეთებას აპირებს მთავრობა. მაკკენა ამბობს, რომ ისინი მოუსმენენ და ითანამშრომლებენ მათთან, ვინც შესთავაზებს ხარისხისა და ფინანსების თანაფარდობას. „ეს არ არის მხოლოდ ბიზნესი“, – აცხადებს მაკკენა. „ჩვენ, სხვა მომწოდებლებისგან განსხვავებით, არ ვართ მხოლოდ მოგებაზე ორიენტირებულნი, ჩვენ ამაზე ზევით ვდგავართ. გვსურს ვიყოთ საქართველოს მთავრობის და მოსახლეობის სტრატეგიული პარტნიორები“. მან განაცხადა, რომ პროექტის ნებისმიერ საფეხურზე და ნებისმიერი საშუალების გამოჩენისთანავე ეცდებიან ადგილობრივი კომპანიებისა და მოსახლეობის დასაქმებას. „ეს ჩვენთვისაც კარგია – ადგილობრივი მოსახლეობა უკეთესად აანალიზებს სიტუაციას, ვიდრე ჩვენ. მაგალითად, როდესაც დაიწყება მშენებლობაზე ნებართვის მოპოვების ტენდერი, ჩვენ კომპანიას საქართველოდან ავარჩევთ“.

საზოგადოება ელის მაღალ სტანდარტებს, წინაპირობებს და, ამასთან, სამუშაოს საფუძვლიან გამოკვლევას. როგორც ირკვევა, სამუშაოს შეუსრულებლობაზე არც მაკკენა და არც ალფამედიკი თვალს არ დახუჭავს. პირიქით, ალფამედიკი შექმნის შეფასებისა და მონიტორინგის გუნდს, სადაც საერთაშორისო სპეციალისტები იქნებიან დასაქმებულნი, რომელიც უზრუნველყოფს სამუშაოების ხელშეკრულების სტანდარტებთან შესაბამისობას.

„საავადმყოფოების PPP პროექტში ჩართვამდე გვექნება იმის დამადასტურებელი დამოუკიდებელი დოკუმენტაცია, რომ ის აშენებული იყო ხელშეკრულებაში გაწერილი სპეციფიკაციის გათვალისწინებით, რომელიც შეფასებული იქნება პროფესიონალი მესამე მხარეების მიერ. მოვახდენთ ფასთა გამოკითხვას“, – აცხადებს მაკკენა და აღნიშნავს, რომ მთავარი ფოკუსირება საერთო და პირველადი ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებაზე კეთდება. რთულია შეეწინააღმდეგო – აღნიშნულ პროექტზე არანაკლებ 247 პირველადი ჯანდაცვის ობიექტია მიმაგრებული, რომელიც მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ჯანმრთელობის მდგომარეობას საზოგადოებაში, განსაკუთრებით კი რეგიონებში.

„PPP მოდელის ყველაზე დიდი სარგებელი არის ის, რომ ეს არის ხარჯთეფექტური, შედეგზე ორიენტირებული მოდელი. ამიტომაც არის კონკურენტული დაძაბულობა მიწოდების ყველა ეტაპზე. ეს ეკონომიკურად ეფექტური გადაწყვეტისა და შედეგების დაჩქარების გარანტიაა. PPP პროექტების 96% დროულად ან გათვლილ ვადაზე ადრე სრულდება. დაგვიანების შემთხვევაში მათ დავალიანების დაფარვა უნდა დაიწყონ, თუმცა ამის გაკეთება არ უწევს მთავრობას“, – ამბობს მაკკენა. თუ სხვა მხრიდან შევხედავთ, იმ შემთხვევაში, თუ სამუშაოები დროზე ადრე დასრულდა, ისინი თანხას საკმაოდ კარგი პროცენტული განაკვეთით იღებენ და არ არიან ვალდებულნი, ბანკს იქამდე დაუბრუნონ თანხა, სანამ ხელშეკრულებით არ დადგება ამის დრო. ასე რომ, ესეც სერიოზული დანაზოგია. საქმიანობის საოპერაციო პერიოდთან მიმართებით, რომელიც ჩვენს შემთხვევაში 25 წელია – ჩვენ ვაშენებთ 3 წელიწადში და ვმართავთ 25 წელი – თუ ამ პერიოდის განმავლობაში საავადმყოფოები არ განვითარდებიან ხელშეკრულებაში გაწერილი სტანდარტების შესაბამისად, PPP ვალდებულია, აღნიშნული საკუთარი რესურსებით გამოასწოროს. ასე რომ, რისკებმა საჯარო სექტორიდან PPP-ში გადაინაცვლა“.

# ლიბერთი ბანკის ხელშეწყობით სიმონ ჯანაშიას სახელობის საქართველოს ეროვნულ მუზეუმში მუდმივმოქმედი „ნუმიზმატიკური საგანძურის“ გამოფენა გაიხსნა

გამოფენა გახსნეს საქართველოს ეროვნული მუზეუმის გენერალურმა დირექტორმა დავით ლორთქიფანიძემ, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრმა მიხეილ გიორგაძემ, განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა თამარ სანიკიძემ და ლიბერთი ბანკის ფინანსურმა დირექტორმა დავით მელიქიძემ.




„ნუმიზმატიკური საგანძურის“ ექსპოზიციით საზოგადოებამ გაიცნო საქართველოს ტერიტორიაზე ფულის მიმოქცევის ისტორია ძვ.წ. VI საუკუნიდან 1834 წლამდე.

გამოფენა პრემონეტარული ნივთების გაცნობით დაიწყო, სადაც წარმოდგენილი იყო სხვადასხვა წონისა და ზომის ბრინჯაოს მასიური რგოლები (ძვ.წ. II-I ათასწლეული), კაური (ინდოეთის ოკეანეში გავრცელებული მოლუსკის ნიჟარა) და შრომის სხვადასხვა იარაღი, რომლებიც უძველეს დროში საქონლის ღირებულების საზომად გამოიყენებოდა.

ექსპოზიციაზე ასევე წარმოდგენილი იყო კოლხური თეთრის იშვიათი ნიმუშები, კოლხეთის მეფის აკის სტატერი, ალექსანდრე მაკედონელისა და ლისიმაქეს სტატერების ადგილობრივი მინაბაძები, რომის პირველი იმპერატორის ოქტავიანე ავგუსტუსის დენარებისა და რომაული საიმპერატორო აურეუსების იბერიული იმიტაციები.

დამთვალიერებლისათვის პირველად გამოიფინა ქართულ-სასანური იშვიათი დრამები, ჯაფარიანების თბილური დირჰემები, ბაგრატიონების ბიზანტიური ტიტულიანი ვერცხლის ქართული საფასეები, დავით აღმაშენებლის ვერცხლის მონეტა, რუსუდან დედოფლის უნიკალური დრამა, გიორგი IV ლაშას უნიკალური სპილენძის მონეტა, ყვარყვარე ათაბაგის, იმერეთისა და ქართლ-კახეთის მეფეების მონეტები.

– საქართველოს ტერიტორიაზე აღმოჩენილი მონეტები, რომლებიც 27 საუკუნეს ითვლის, ზუსტად ასახავს ქვეყნის იმდროინდელ კულტურულ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ მდგომარეობას, რაც, დამეთანხმებით, მნიშვნელოვანი ისტორიული წყაროა სახელმწიფოსათვის. რაღა თქმა უნდა სს „ლიბერთი ბანკი“ მუდამ მზადაა, მონაწილეობა მიიღოს სახელმწიფოს კულტურულ მემკვიდრეობასთან დაკავშირებულ ნებისმიერ ღონისძიებაში, – განაცხადა ლიბერთი ბანკის ფინანსურმა დირექტორმა დავით მელიქიძემ.

ნუმიზმატიკის კაბინეტი საქართველოში პირველად ეროვნული მუზეუმის ეგიდით სვანეთის მუზეუმში გაიხსნა, ამჯერად კი, ასეთი ფართო მასშტაბით, პირველად წარედგინა საზოგადოებას.

გახდომა-გასუქება 5-20 კგ-ით თვეში!

მარტივად და უსაფრთხოდ, დიეტების, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. რეგულირდება მადა, ქრება უსიამოვნო სუნი პირიდან, წესრიგდება ნივთიერებათა ცვლა და კუჭ-ნაწლავი. ორგანიზმი იწმინდება მთლიანად შლაკებისგან, სისხლძარღვები — ქოლესტერინისაგან. ძლიერდება იმუნიტეტი, კანი ხდება უფრო ახალგაზრდა, ელასტიკური. დადგებით სასურველ წონაზე და შეინარჩუნებთ მას სტაბილურად.

სიმაღლეში ზრდის უახლესი, სწრაფი და ეფექტური პროგრამები 1-დან 25 წლამდე

კურსით 3-5 სმ-ის მომატებით. ვიტამინების, ძვლის მკვებავი მინერალების, ამინომჟავების კომპლექსით, პლუს ვარჯიშებით. მაღალეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. პროგრამა ინდივიდუალურია. კურსის გამეორება შეგიძლიათ სასურველ შედეგამდე. ქ-ნი ქეთევანი

მის. მეტრო „დიდუბე“, წერეთლის ქ. 142, I სართული, კაბინეტი №6
☎ 577-29-37-41, 247-58-83

# ს.ს.ი.პ – გარემოს ეროვნული სააგენტოს განცხადება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის მიზნით ელექტრონული აუქციონის ჩატარების შესახებ

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გამცემია საჯარო სამართლის იურიდიული პირი გარემოს ეროვნული სააგენტო ელექტრონული აუქციონის (www.eauction.ge) მეშვეობით, გამარჯვებულად ჩაითვლება ლიცენზიის ის მაძიებელი, რომელიც აკმაყოფილებს აუქციონის პირობებსა და მოთხოვნებს და ყველაზე მეტ თანხას შესთავაზებს სახელმწიფოს.

## ობიექტი №1

**ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის ლიცენზიის გამცემი ორგანოს დასახელება**

ს.ს.ი.პ გარემოს ეროვნული სააგენტო

**1. საიდენტიფიკაციო ნომერი**

204 559 691

**2. მისამართი/ტელეფონი**

ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი №150 / 032 243 95 57

ქ.ქუთაისი, ირაკლი აბაშიძის ქ. №14 / 031230725

**3. ელ–ფოსტა**

Licenziebi2015@gmail.com

**4. სარგებლობის ლიცენზიის სახე**

სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია

**5. სალიცენზიო პირობები და მოთხოვნები კონკრეტული ობიექტით სარგებლობისათვის**

ა) მოპოვება უნდა განხორციელდეს წინასწარ შედგენილი დამუშავების ტექნოლოგიური სქემის მიხედვით.

ბ) ლიცენზიის მფლობელმა შეასრულოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები, მათ შორის „გარემოს დაცვის შესახებ“, „ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებლების შესახებ“ და „წიაღის შესახებ“, საქართველოს კანონებით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი სხვა მოთხოვნები. ამასთან, „წიაღის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-13 მუხლის პირველი პუნქტის „თ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, წიაღით სარგებლობისას იშვიათი მეცნიერული ან ესთეტიკური ფასეულობის ობიექტების აღმოჩენის შემთხვევაში შეაჩეროს სამუშაოები და დაუყოვნებლივ აცნობოს ამის შესახებ შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს.

გ) ლიცენზიის მფლობელი ვალდებულია სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ შესაბამისი ბრძანების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში ლიცენზიის გამცემს დასამტკიცებლად წარუდგინოს სასარგებლო წიაღისეულის ათვისების შესაბამისი გეგმა (ყოველწლიურად ასათვისებელი მოცულობის მითითებით).

დ) დაცული იქნეს საქართველოს კანონებით, ბუნებრივი რესურსით სარგებლობისათვის საქართველოს გარემოსდაცვითი კანონმდებლობით და შესაბამისი კანონქვემდებარე აქტებით დადგენილი პირობები, აგრეთვე ლიცენზიის გამცემის მიერ დადგენილი მოთხოვნები.

**6. სარგებლობის ლიცენზიის კონკრეტული ობიექტი**

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. კირცხის მიმდებარე ტერიტორია, მდ. ხობისწყლის ქვიშა-ხრეშის გამოვლინება (კატეგორია - P, მოსაპოვებელი წიაღისეულის ჯამური მოცულობა (ორივე უბანზე ერთად) - 26 100 მ$^3$).

**7. სალიცენზიო ობიექტის ადგილმდებარეობა**

ჩხოროწყუს მუნიციპალიტეტი, სოფ. კირცხის მიმდებარე ტერიტორია

**8. აუქციონის საწყისი ფასი**

4 243 ლარი

**9. ბიჯის სიდიდე (საწყისი ფასის 10 %)**

424,3 ლარი

**10. უპირობო და გამოუხმობი საბანკო გარანტიის/ზეს (50 %) თანხის ოდენობა + 200 ლარი სალიცენზიო მოსაკრებელი**

2 322 ლარი

**11. აუქციონში მონაწილეობის მისაღებად რეგისტრაციის დაწყების და დასრულების დრო და თარიღი**

დალასელებმა მატჩი ბოლო მეოთხედში წააგეს, როცა დეტროიტელთა 12:2 გაქცევა გაეპარათ და სტუმრებმა მოპოვებული უპირატესობა აღარ გაუშვეს. გადამწყვეტი გამოდგა მარკუს მორისის 2 სამქულიანი, რომელიც დეტროიტელმა ფორვარდმა ბოლო პერიოდში ჩააგდო.

დასავლეთ კონფერენციაში დალასელებს ჰიუსტონელები წამოეწივნენ. ორივე გუნდს 33 მოგება და 32 მარცხი აქვს და 7-8 ადგილებს ინაწილებენ. 12 მარტს ფაჩულიას გუნდი ინდიანას უმასპინძლებს.

# საქართველოს ხელბურთელთა ნაკრები ნახევარფინალშია

## საქართველო-ლატვია 31:25



საქართველოს 19 წლამდე ნაკრებმა ჯგუფში მეორე მატჩიც მოიგო და ნახევარფინალში პირველი ადგილით გავა, რადგან ბოლო ტურში უსუსტეს ალბანეთის ნაკრებს შეხვდება.

ჩვენები თავიდანვე დაწინაურდნენ და 12-ე წუთზე სხვაობა 4 ბურთი გახდა – 10:6. კარგად დაიწყეს ჩოხელმა, ვენეცკიმ და ყველაშვილმა, მაგრამ ლატვიამ თავისი ლიდერის, სიმონა არმანეს წყალობით 21-ე წუთზე მინიმუმამდე დაიყვანა სხვაობა – 10:11.

ჩვენი ნაკრების მწვრთნელმა გიორგი გვაზავამ გადაწყვიტა, პერსონალური დაცვა გამოეყენებინა არმანეს წინააღმდეგ, მას ჩოგოვაძე მიუჩინა და ამან გაამართლა. საქართველომ ტაიმი 16:12 მოიგო, ხოლო 37-ე წუთზე, გადელიამ შვიდმეტრიანიდან სხვაობა შვიდამდე აიყვანა – 21-14.

არმანეს პასიურობის შემდეგ ლატვიელთა შორის ლიდერობა იტვირთა დინია პურვინამ, სხვაობამ ნელნელა იწყო შემცირება, ჩვენებს მცირე კრიზისი დაუდგათ შეტევაში და 53-ე წუთზე მხოლოდ სამბურთიანი უპირატესობა დაგვრჩა – 27:24.

მაგრამ საქართველოს ნაკრებს ჰყავდა თამარ ჩოგოვაძე, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი თავისი 7 გოლით. საბოლოოდ საქართველომ 31:25 მოიგო და გაინაღდა პირველი ადგილი ჯგუფში.

ჩვენს ჯგუფში კვიროსმა, რომელიც 33:10 დავამარცხეთ, შური იძია ალბანეთზე და 41:3 მოუგო. მეორე ჯგუფში ნახევარფინალის საგზური გაინაღდა ფარერის კუნძულების გუნდმა, რომელმაც სომხებს 45:7 მოუგო, ხოლო ესტონეთმა და ბელგიამ ერთმანეთში 21:21 ითამაშეს.

# შედეგები

**9 მარტი**

**ფეხბურთი**

**უეფას ჩემპიონთა ლიგა**

ჩელსი-პსჟ ................................ 1:2
ზენიტი-ბენფიკა ........................... 1:2

**ინგლისი. პრემიერშიპი**

ბოლტონი-იფსვიჩი ......................... 2:2
ბრაიტონი-უენსდი ......................... 0:0

**საფრანგეთი. 1 ლიგა**

ბასტია-ნანტი .............................. 0:0
გაზელეკი-მარსელი ........................ 1:1

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.პსჟ | 29 | 23 | 5 | 1 | 68-15 | 74 |
| 2.მონაკო | 29 | 13 | 12 | 4 | 42-32 | 51 |
| 3.ლიონი | 29 | 13 | 6 | 10 | 45-31 | 45 |
| 4.ნიცა | 29 | 12 | 8 | 9 | 41-33 | 44 |
| 5.რენი | 29 | 11 | 11 | 7 | 40-34 | 44 |
| 6.კაენი | 29 | 13 | 4 | 12 | 32-38 | 43 |
| 7.სტ.ეტიენი | 29 | 12 | 6 | 11 | 33-32 | 42 |
| 8.ნანტი | 29 | 10 | 11 | 8 | 27-28 | 41 |
| 9.ანჟე | 29 | 10 | 9 | 10 | 29-29 | 39 |
| 10.ბასტია | 29 | 11 | 6 | 12 | 27-29 | 39 |
| 11.მარსელი | 29 | 8 | 14 | 7 | 39-30 | 38 |
| 12.ლორიანი | 29 | 9 | 11 | 9 | 40-41 | 38 |
| 13.ბორდო | 29 | 9 | 11 | 9 | 38-44 | 38 |
| 14.ლილი | 29 | 8 | 13 | 8 | 23-23 | 37 |
| 15.მონპელიე | 29 | 10 | 6 | 13 | 36-33 | 36 |
| 16.რეიმსი | 29 | 8 | 8 | 13 | 32-41 | 32 |
| 17.გენგამი | 29 | 8 | 8 | 13 | 34-45 | 32 |
| 18.გაზელეკი | 29 | 6 | 12 | 11 | 30-40 | 30 |
| 19.ტულუზა | 29 | 4 | 11 | 14 | 28-48 | 23 |
| 20.ტრუა | 29 | 2 | 8 | 19 | 21-59 | 14 |

**შოტლანდია. პრემიერშიპი**

სტ.ჯონსონი-ინვერნესი ................ 1:0

# პსჟ–მ ჩელსის ისევ მოუგო, გაიტანმა ზენიტს გაუტანა




გაიმართა ჩემპიონთა ლიგის ორი განმეორებითი მერვედფინალური შეხვედრა.

### ჩელსი – პსჟ 1:2

0:1 რაბიო (16), 1:1 დიეგო კოშტა (27), 1:2 იბრაჰიმოვიჩი (67)

**ჩელსი:** კურტუა, ასპილიკუეტა, კეჰილი, ივანოვიჩი, კენედი, მიკელი, ფაბრეგასი, ვილიანი, პედრო, აზარი (ოსკარი 77), კოშტა (ტრაორე 60)

**პსჟ:** ტრაპი, მარიკინიოსი, სილვა, ლუისი, მაქსველი, რაბიო, ტიაგო მოტა, მატუიდი (ვან დერ ვილი 87), დი მარია (კავანი 82), ლუკასი (პასტორე 77), იბრაჰიმოვიჩი

ერთმანეთს თანაბარი დონის გუნდები შეხვდნენ. მატჩის ასეთი გამოდგა, მაგრამ პარიზულ გუნდს მეტი დამაჯერებლობა ეტყობოდა და ეს, ალბათ, პირველი მოგებული შეხვედრის უპირატესობა იყო.

პსჟ უფრო ორგანიზებული იყო, ჩელსის კი ნერვიულობა ეტყობოდა, თუმცა მშვენივრად გამოიყურებოდა და მომენტებსაც ქმნიდა. ერთია, პარიზელები უფრო ცოცხლად გამოიყურებოდნენ.

პირველ ტაიმში გუნდებმა გოლები გაცვალეს, რასაც მატჩის ინტრიგა არ მოუკლავს – პირიქით, ერთმანეთი გაალიზიანეს. მხოლოდ შესვენების შემდეგ დაიჭირა პსჟ-მ მეტოქე და მეორე გოლის გატანით წერტილი დაუსვა მატჩს – ჩელსი პარიზული გუნდის დაცვის შემხედვარე კიდევ 2 გოლის გამტანს არ ჰგავდა და ლონდონური კლუბიც ლიგას დაემშვიდობა.

გოლები ასე გავიდა: ზლატან იბრაჰიმოვიჩმა უზუსტესი პასით შორეულ ძელთან ადრიე რაბიო მოძებნა და მანაც აუღელვებლად გაიტანა.

27-ე წუთზე დიეგო კოშტამ ტიაგო სილვა მოატყუა და კევინ ტრაპიც მოძრაობაზე დაიჭირა – მშვენიერი გოლი გამოვიდა.

67-ე წუთზე დი მარია შეიჭრა მასპინძელთა საჯარიმოში და იქ იბრაჰიმოვიჩი მოძებნა, რომელმაც გამარჯვების გოლი გაიტანა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ზლატან იბრაჰიმოვიჩი

რამდენიმე ფეხბურთელის გამოყოფა შეიძლებოდა. დი მარია ბევრს მოძრაობდა, იწყებდა შეტევებს, ორივე გოლში მიიღო მონაწილეობა. ტრაპმაც რამდენჯერმე გადაარჩინა გუნდი, კარგად იდგა დაცვაში დავის ლუიზიც. თუმცა ზლატანი მაინც გამორჩეული იყო და საჭირო მომენტებში ის გააკეთა, რაც გამარჯვებისთვის აღმოჩნდა საჭირო – გოლი და საგოლე პასი.

**ლორან ბლანი, პსჟ-ს მთავარი მწვრთნელი:**

– ვიცოდით, რომ რთული მატჩი იქნებოდა და არც შევმცდარვართ. თუმცა ჩვენ შეხვედრის მსვლელობას ვაკონტროლებდით და სწორედ ამიტომ ოდნავ იოლი თამაში გამოვიდა, ვიდრე ველოდით. დი მარია ჩელსის მთელი მატჩის განმავლობაში უქმნიდა პრობლემებს. ზლატანმა კი ჩვეულ მაღალ დონეზე ითამაშა და გადამწყვეტ გოლთან ერთად საგოლე პასიც შეასრულა.

**გუს ჰიდინკი, ჩელსის მთავარი მწვრთნელი:**

– იმედგაცრუებული ვარ. სასტარტო წუთებში ძალიან ვფრთხილობდით. მეტოქე კონტრშეტევებზე თამაშობდა და საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე აუცილებლად უნდა გვეფიქრა, რათა შეხვედრა პირველივე ტაიმში არ წაგვეგო. გაშვებული გოლის შემდეგ გამოფხიზლდით, აგრესიულად ავთამაშდით როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში და დამსახურებულად აღვადგინეთ წონასწორობა, რის შემდეგაც შანსი ორივე გუნდს ჰქონდა. 65-ე წუთზე კარგი მომენტი გვქონდა, თუმცა ვერ გავიტანეთ და პარიზელებმა 2 წუთში თამაში დაგვიმთავრეს.

### ზენიტი – ბენფიკა 1:2

1:0 ჰალკი (69), 1:1 გაიტანი (85), 1:2 ტალისკა (90)

**ზენიტი:** ლოდიგინი, ანიუკოვი (სმოლნიკოვი 58), ლომბერტსი, ნეტო, ჟირკოვი, მაურისიო (იუსუპოვი 82), ვიტსელი, კოკორინი (შატოვი 58), დანი, ჰალი, ძიუბა

**ბენფიკა:** ედერსონი, სემედო, ლინდელოფი, ფესა, ელისეუ, სამარისი, რეანტო სანჩესი, გაიტანი, პიცი (სალვიო 73), ჟონასი (ტალისკა 90+2), მიტროღლუ (ხიმენესი 67)

ფეხბურთში ასეც ხდება. ზენიტი, რომელსაც მხოლოდ მოგება სჭირდებოდა, პირველ ტაიმში მშვიდად გამოიყურებოდნენ, მაგრამ საჭირო გოლი ვერ გაიტანეს და მეორეში მოუმატეს. ამან შედეგი გამოიღო და ძალიან საჭირო გოლიც გაიტანეს. იური ჟირკოვმა ფლანგზე ჩინებულად ითამაშა და ბურთი თავზე დაასვა ჰალკს.

გოლის შემდეგაც აქტიურობდა ზენიტი, ხოლო მათი მეკარე იღებდა ყველა ბურთს, რომელიც მისი კარისკენ მიდიოდა. თითქოს მაყურებელს დამატებითი 30 წუთი უნდა ეხილა, რომ ბენფიკას გაუმართლა და ამაში მანამდე მშვენივრად მოთამაშე ლოდიგინიც წაეხმარა. ზენიტელთა მეკარემა შორიდან დარტყმული ბურთი ხარიხას ზემოთ ვერ გადააგდო და მოედანზე დაბრუნებულს პირველი ნიკოლას გაიტანმა მიუსწრო.

დარჩენილ დროში ზენიტს 2 გოლი უნდა გაეტანა, მაგრამ ტალისკასგან გაუშვეს და მატჩიც მორჩა.

**მატჩის საუკეთესო ფეხბურთელი** – ნიკოლას გაიტანი

ბენფიკას კაპიტანმა და ლიდერმა გუნდი მარცხისგან იხსნა. პირველ გოლზე ზუსტად იქ გაჩნდა, სადაც საჭირო იყო და მატჩის ბედი გადაწყვიტა, ხოლო მეორე გოლშიც დიდი წვლილი დაიდო, ზენიტელთა შეტევა ჩაშალა და საგოლე პასიც გააკეთა.

**სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი „კელპი“ გთავაზობთ მაღალხარისხიან და სრულფასოვან მკურნალობას შემდეგ დაავადებებზე!**

1) შარდ-სასქესო სისტემის პრობლემები (პროსტატიტი, ადენომა, ცისტიტი, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, ენურეზი, წვა-ტკივილი შარდვისას);

2) პოტენციის დაქვეითება (რეპროდუქციული ფუნქციის აღდგენა-შენარჩუნება);

3) ვენერიული, ინფექციური, ვირუსული პათოლოგიები;

4) ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა, ღვიძლის ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება (ღვიძლისა და სისხლის დეტოქსიკაცია უჯრედულ დონეზე);

5) ნერვული სისტემის მოწესრიგება (ნევროზი, შიშები, დეპრესია, აგრესია, აკვიატებული აზრები, უძილობა).

მოგემსახურებიან მაღალკვალიფიციური ექიმები.
**კონსულტაცია უფასოა!**
☎ 593-44-58-65; 218-46-08 (ოფისი).
მისამართი: აღმაშენებლის 154.
„მწვანე ოფისი“.

# ტიტანის სამკურნალო მაგნიტური სამაჯური



სამაჯური ხასიათდება უნიკალური სამკურნალო და გამაჯანსაღებელი თვისებებით.ჩატარებული მეცნიერული კვლევების შემდეგ 2005 წელს ევროპამ და 2006 წელს ამერიკამ აღიარეს, როგორც 21 საუკუნის პროდუქტი. ჩვენება არეგულირებს არტერიულ წნევას. ხსნის სტრესს, დაღლილობას, სახსრებისა ხერხემლისა და თავის ტკივილს. აწესრიგებს ძილს, იმუნურ სისტემას. ხელს უშლის კიბოს უჯრედების განვითარებას. არეგულირებს ქოლესტერინის დონეს სისხლში. აძლიერებს ნაწლავურ ფლორას, არეგულირებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას, ამაღლებს ტონუსს, აქვს ძლიერი ანტიოქსიდანტური მოქმედება, გვარდება ნევროზები, გამოაქვს ორგანიზმიდან „შლაკები“, მარილები, წამლისგან დარჩენილი ნივთიერებები, მისი ყოველდღიური მოხმარება არეგულირებს მეტაბოლიზმს (ნივთერებათა ცვლა). გაჯანსაღების გზით ხდება წონის კორექცია, გვარდება ნევროზები, პოტენცია, ადამიანი ხდება ენერგიული, ეხსნება ქრონიკული დაღლილობის შეგრძნება და ა.შ.

ის იწყებს ძიებას ორგანიზმში რა არის დაზიანებული, თვითონ აგნებს და ზუსტად იქიდან იწყებს მოგვარებას. მას აგრეთვე უწოდებენ „მაგიურ სამაჯურს“

დაახლოებით 10 წუთში თქვენ ნათლად გრძნობს სითბოს ან ჩხვლეტას მაჯაზე. თუმცა, ზოგიერთი ადამიანი, გრძნობს რამდენიმე საათის ან 2-3 დღის შემდეგ. რამდენიმე დღეში იგრძნობთ რომ შეგიმსუბუქდათ ტკივილები, რომელიც წლების განმვლობაში გაწუხებდათ. სამაჯურის მუდმივად მოხმარების შემდეგ კი უკვალოდ ქრება. ტიტანის სამაჯურის მოხმარების შემდეგ პაციენტს აღარ სჭირდება ზედმეტი წამლები.

შემადგენლობა ტიტანის სამაჯაურში ჩასმულია სამედიცინო მაგნიტი. (ნეოდიმი). ნეოდიმი მაგნიტებს შორის არის ყველაზე ძლიერი მუდმივი მაგნიტი.

არ ახასიათებს გვერდითი მოვლენები, მწარმოებელი ქვეყანა გერმანია. მიწოდება შესაძლებელია საქართველოს მთელ ტერიტორიაზე ბინაზე. ფასი 50 ლარი.

**მისამართი: ქ.თბილისი, ვაჟა ფშაველას 79. ტელ: 2 182 186.**
**შეკვეთები მიიღება ნომერზე: 579 885 996.**

# ოდიკაძემ საქართველოს მეორე ევროპული ბრინჯაო მოუტანა



რიგაში ევროპის ჩემპიონატის მეორე დღეს ხალიჩაზე თავისუფალი სტილის 65 და 97 კატეგორიის ფალავნებმა იასპარეზეს. საქართველოს ნაკრებს მეორე ბრინჯაოს მედალი ელიზბარ ოდიკაძემ (97) მოუტანა, ერთი გამარჯვება დააკლდა მედლამდე ზურაბ იაკობიშვილს (65).

ოდიკაძემ პირველ ორ შეხვედრაში შვეიცარიელი ფილიპ ჰატერი 10:0 და სლოვაკი იოზეფ იალოვიარი 11:0 ქულების აშკარა უპირატესობით იოლად დაამარცხა, მეოთხედფინალში კი რუსეთის ნაკრების წევრ ანზორ ბოლტუკაევთან 0:12 დამარცხდა და სანუგეშო წრეში გადაერთო, სადაც პოლონელ რადოსლავ ბარანს 5:1 მოუგო, ბრინჯაოსთვის შეხვედრაში კი ჩვენებურმა ბოლო წამებზე დაამარცხა ლონდონის ოლიმპიური თამაშების ვერცხლის პრიზიორი უკრაინელი ვალერი ანდრიიცევი 3:1.

იაკობიშვილი საქმეში მერვედფინალიდან ჩაერთო სადაც რუმინელი გეორგ ბუკური 4:1 დაამარცხა, მომდევნო წრეში კი მომავალ ფინალისტ თურქ მუსტაფა კაიასთან 1:7 დათმო შეხვედრა და დამამშვიდებელ წრეში გადაერთო, სადაც სლოვენიელ დავიდ ჰაბატს 6:0 სძლია, ბრინჯაოს მედლისათვის კი რუს ისრაილ კასუმოვთან დათმო შეხვედრა – 4:13 და მეხუთე ადგილზე დაასრულა გამოსვლა.

*მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა*

**მამაკაცების გაჯანსაღების ცენტრი**

სქესობრივი უძლურება, პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!) შარდვის პრობლემის: ხშირი და უნებლიე შარდვა, შეკავება, შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, გაწმენდა ვირუსებისა და მიკრობებისაგან. ასევე ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად გათავისუფლება. დამოკიდებულების მოხსნა. „თეთრი ცხელების“, ნევროზების, დეპრესიის, უძილობის, შიშების, აკვიატებების, აგრესიულობის, ტვინში სისხლმომარაგების მოშლის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა, ფუნქციის აღდგენა, კუჭნაწლავის გაჯანსაღება — დიაგნოსტიკით და საჭირო გამოკვლევებით. ანონიმურობა და შედეგები 100%-იანი. უკუჩვენება — 0.

მის.: მეტრო „დიდუბე“, სამთო ქიმიის შენობა, 1-ლი სართ, კაბ. 6
☎ 599-90-54-78, 234-02-38 ქ-ნი მარიამი

# სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტი

## აცხადებს
## ღია კონკურსს

**შემდეგი სამეცნიერო სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი/მთავარი მეცნიერ-თანამშრომლის თანამდებობის დასაკავებლად:**

1. **რადიოფიზიკური და ელექტრონული სისტემების მოდელირებისა და სისტემატექნიკის განყოფილების უფროსი,** მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
2. **ნახევარგამტარული მასალათმცოდნეობის ლაბორატორიის ხელმძღვანელი,** მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
3. **ნახევარგამტარული და რადიაციული ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი,** მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
4. **ქიმიური ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი,** მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
5. **კრიოგენული ტექნიკისა და ტექნოლოგიების ლაბორატორიის ხელმძღვანელი,** მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი;
6. **არატრადიციული ენერგეტიკის ლაბორატორიის ხელმძღვანელი,** მთავარი მეცნიერ-თანამშრომელი – სრული საშტატო განაკვეთი.

**კონკურსის პირობები**

**კონკურსანტს უნდა ჰქონდეს:**

1. დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი;
2. განყოფილების მიმართულების შესაბამისი სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის მინიმუმ 6-წლიანი გამოცდილება;
3. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს სახელმწიფო ენას და ერთ-ერთ უცხო ენას;
4. კონკურსანტი კარგად უნდა ფლობდეს შემდეგ კომპიუტერულ პროგრამებს – Microsoft Office Word, Microsoft Office Excel, ინტერნეტი.

**კონკურსში მონაწილეობის მსურველებმა უნდა წარმოადგინონ / ან მითითებულ ელ-ფოსტაზე (xlomidze@sipt.org.ge) უნდა გამოაგზავნონ შემდეგი დოკუმენტები:**

1. განცხადება (განცხადების ფორმა იხილეთ ვებ გვერდზე www.sipt.org.ge);
2. პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი;
3. ავტობიოგრაფია/CV;
4. სამეცნიერო ხარისხის დამადასტურებელი დიპლომის ასლი;
5. გამოქვეყნებული სამეცნიერო ნაშრომების ჩამონათვალი, ადგილობრივ და საერთაშორისო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი მასალები (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
6. ერთი სამეცნიერო ნაშრომის სტატიის ასლი, რომელიც განმცხადებლის აზრით უკეთესად წარმოაჩენს მის სამეცნიერო პოტენციალს/კვლევის უნარს;
7. ინფორმაცია სახელშეკრულებო (არასაბიუჯეტო) სამუშაოებში მონაწილეობის შესახებ (ბოლო 5 წლის განმავლობაში);
8. ინფორმაცია სამეცნიერო გრანტებში მონაწილეობის შესახებ;
9. პატენტების, საავტორო მოწმობების, ლიცენზიების, გამოყენების აქტებისა და სამეცნიერო მოღვაწეობასთან დაკავშირებული სხვა დამადასტურებელი დოკუმენტაციის ჩამონათვალი;
10. შესაბამისი სტრუქტურული ერთეულის განვითარების ხედვა;
11. შესაბამისი დარგის ორი მეცნიერის საკონტაქტო ინფორმაცია, რომელთაც შეიძლება რეკომენდაცია გაუწიონ კონკურსანტს (სახელი, გვარი, ტელეფონი, ელ-ფოსტა, მისამართი).

- **საკონკურსო საბუთების მიღება იწარმოებს სსიპ სოხუმის ილია ვეკუას ფიზიკა-ტექნიკის ინსტიტუტში, მისამართზე ქ. თბილისი, ე. მინდელის ქ. 7, ოთახი 629 ან ელექტრონულად ელ-ფოსტაზე: xlomidze@sipt.org.ge 2016 წლის 11 აპრილის 10 საათიდან 15 აპრილის 18 საათამდე (შაბათ-კვირის გარდა).**
- **კონკურსი გაიმართება 19 აპრილს.**

**დამატებითი ინფორმაცია იხილეთ www.sipt.org.ge**
**დამატებითი ინფორმაციისათვის**
**საკონტაქტო პირი – ხათუნა ლომიძე**
**ტელეფონი: 599 959 913**



ჩვენს საყვარელ
**ნიკოლოზ არჩვაძეს**
ვულოცავთ დაბადების დღეს. ვუსურვებთ ჯანმრთელობას, დიდ სიხარულს, დიდხანს სიცოცხლესა და უფლის წყალობას თავის საყვარელ ადამიანებთან ერთად.

ნანა ბებო, თემო პაპა





## მკურნალობა

- უძლიერესი ნათელმხილველი დარეჯანი – კმაყოფილი დარჩებით უმაღლეს დონეზე, აქვე მოიხსნით სხვადასხვა პრობლემას. მიღება შპს „იადიგარ დაუდის" ოფისში. ტელ: 555-75-90-62.
- ნანა ქიბროწაშვილი – ფირმა „იადიგარ დაუდის" დირექტორი, მკურნალი, პარაფსიქოლოგი. ნოვოსიბირსკში სტუდენტობის პერიოდში შესწავლილი მეთოდით (ფოტოსურათით) მოგიხსნით შავი ძალების ზეწოლით (ჯადო, თვალი, წყევლა, ნერვული სტრესები) გამოწვეულ პრობლემებს: ალკოჰოლიზმი, პათოლოგიური სიმთვრალე, აზარტული თამაშები, აგრესია, დეპრესია, აკვიატებული აზრები და ქმედებები, ეჭვიანობა, ჩაკეტილობა, თვითმკვლელობის სურვილი, შფოთიანი ძილი, ოჯახური გაუგებრობა. მის: წერეთლის გამზირი №57, მე-2 სად. მე-2 სართ. ოფისი №7. ტელ: 599-49-84-23 ნანა. მიღება 12 საათიდან 15 საათამდე.
- გასახდომი ყავა!!! ხარისძირას სპეციალური ჯიშით გამდიდრებულ 3-კომპონენტიან ანტილიპიდურ კუპაჟს გააჩნია

## განცხადებები

ანტიდიაბეტური თვისებები!!! მის: თამარ მეფის 27 (რკ.სადგურთან). ტელ: 577-52-88-41.

- ცხადდება მიღება მასაჟისა და კოსმეტოლოგიის კურსებზე, დამთავრების შემდეგ გაიცემა სერთიფიკატი. ხელმძღვანელი ექიმი გულიკო ჩიკვილაძე. ტელ: 2-96-67-03; 595-35-64-13.
- ვმკურნალობ ბუასილს (ჰემოროი) ყველაზე მძიმე ფორმით – სისხლდენა, ნახეთქები, კვანძის გამოვარდნა. მხოლოდ მცენარეული, ბუნებრივ კომპონენტებზე დამზადებული შიგნით მისაღები დასალევი წამლით. შედეგი 100%-იანია. 48 საათში ქრება სისხლდენა, ხოლო 72 საათში განთავისუფლდებით ტკივილებისაგან. ტელ: 599-53-08-25; 295-40-58 ჯემალი.
- კუჭ-ნაწლავის მკურნალობა, კოლიტი, ენტერიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე, ასაკობრივი და პარაზიტული. ორგანიზმის საერთო გაწმენდა-გაძლიერება 100%-იანი შედეგით. 571-72-03-11, ქ-ნი მარიამი.
- ალკოჰოლიზმისა და ნარკომანიისგან სამუდამოდ, სწრაფად განთავისუფლება, დამოკიდებულების მოხსნა, შიშების, უძილობის, ნევროზების, დეპრესიის მკურნალობა, ღვიძლის გაწმენდა-აღდგენა (პაციენტიდან ფარულადაც!), შედეგი 100%-იანია. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 247-58-83; 599-90-54-78, ქეთევანი.
- იმპოტენციის, პროსტატიტის, ადენომის (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის მოშლა-გახშირების, შეკავება-შეუკავებლობით, წვის, ტკივილი შარდვისას, ქავილის, უშვილობის, ენურეზის (გენეტიკურიც) მკურნალობა უნიკალური მეთოდებით. ადგილზე გამოკვლევები უფასოა. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38, ქეთი.
- მასაჟი სამკურნალო და გამაჯანსაღებელი: ძვალსახსართა დაავადებების, ოსტეოქონდროზის, ნევრიტების, პოსტტრავმულ-სარეაბილიტაციო და ა.შ. ასევე ბავშვთა და მოზარდთა მასაჟი ბრტყელტერფიანობის, დისპლაზიის, სქოლიოზის, ხერხემლის დეფორმაციების, პარეზის და ა.შ. (თანდაყოლილი ანომალიებიც) სამკურნალოდ. ტელ: 598-516-533 ქ-ნი ფიქრია.

## ასტროპროგნოზი
### 11 მარტისათვის



**ვერძი** – დღის პირველი ნახევარი კეთილისმყოფელია მნიშვნელოვანი საკითხების გადასაწყვეტად, კომერციული საქმიანობისათვის, თუმცა დიდი წინდახედულობის გამოჩენა გმართებთ, რათა მოტყუებული არ დარჩეთ. **კურო** – დღეს გელით საინტერესო კონტაქტები და შეხვედრები. გათავისუფლდით ნეგატიური ემოციებისა და დაგროვილი საქმეებისაგან. **ტყუპები** – საკმაოდ მძიმე დღეა. ნებისმიერ ადამიანებთან ურთიერთობისას კეთილგონიერი იყავით. ზედმეტი ემოციები კონფლიქტს გამოიწვევს. **კირჩხიბი** – მცირედი კამათი გელით გარშემომყოფებთან. მოთმინებითა და სულგრძელობით კონსენსუსს მიაღწევთ. **ლომი** – საყიდლებზე წასვლა რეკომენდებულია. ნავაჭრით კმაყოფილი დარჩებით, ოღონდ ფულს ნუ გაფლანგავთ. **ქალწული** – იმედი გაგიცრუვდებათ. ერიდეთ ფიზიკურ დატვირთვასა და კოლექტიურ საქმიანობას. ალკოჰოლის მიღება გეკრძალებათ. **სასწორი** – სახიფათო დღეა. მაქსიმალური შორსმჭვრეტელობა და წინდახედულობა უნდა გამოავლინოთ, რათა არ დაზარალდეთ. **ღრიანკალი** – არაკეთილისმყოფელი დღეა. სიჯიუტესა და პრინციპულობას სასიკეთო შედეგი არ მოჰყვება. საკუთარი ძალები რეალურად შეაფასეთ და ისე იმოქმედეთ. **მშვილდოსანი** – შესაფერისი პერიოდია შემოქმედებითი პოტენციალის გამოსავლენად, თუმცა ვარსკვლავები ფიზიკური დატვირთვისა და კოლექტიური საქმიანობისაგან თავის შეკავებას გირჩევენ. **თხის რქა** – სიტუაციის მცდარი შეფასება და პარტნიორისადმი მეტისმეტი ნდობა ფინანსურ დანაკარგებს გამოიწვევს. ეცადეთ, ეს დღე ჰარმონიასა და თანხმობაში გაატაროთ. **მერწყული** – ექსტრავაგანტულობისა და ორიგინალობის მოყვარულებს ვარსკვლავები დიდ გამარჯვებას უწინასწარმეტყველებენ. თქვენი მდიდარი შინაგანი სამყარო ახალი შეგრძნებებითა და საინტერესო მიგნებებით გაჯერდება. **თევზები** – იყავით მიმნდობი, მიმტევებელი, ალერსიანი და საპასუხოდ ამავეს მიიღებთ. განსაკუთრებით გაუფრთხილდით ოჯახურ ურთიერთობებს.

**გისურვებთ ბედნიერ დღეს!**

## კროსვორდი ბ



**შვეულად**: 1. სახელმწიფო ევროპაში; 2. ციური სხეული; 3. ქართველ ქალთა ძველებური თავსაბურველი; 4. რაიონული ცენტრი კახეთში; 5. სისხლის თხევადი ნაწილი; 9. მამათა მონასტერი; 10 სამთო-სათხილამურო სპორტის ცენტრი სლოვენიაში; 14. სიმღერისა და ცეკვის მუზა ბერძნულ მითოლოგიაში; 15. დედამიწის ქერქის მოძრაობისა და დეფორმაციების შემსწავლელი გეოლოგიის ნაწილი; 16. დიდი, ფრიალო კლდე; 19. ლუდისა და უალკოჰოლო სასმელების მწარმოებელი ფირმა საქართველოში; 20. წითელი ფერის ფრანგული სადესერტო ღვინო; 21. საქართველოს რაგბისტთა გუნდი.

**თარაზულად**: 6. ცოდვების მიტევება კათოლიკურ ეკლესიაში; 7. საქართველოში გავრცელებული, წითელი, ძვირფასმერქნიანი წიწვოვანი ხე; 8. მიხეილ ჭიაურელის მხატვრული ფილმი; 10. სხეულის ან მისი რომელიმე ნაწილის ნატურალური სიდიდის მოდელი თვალსაჩინოებისათვის; 12. წყნარი, უქარო ამინდი ზღვის სანაპიროზე; 13. ბანქოს სათამაშო მაგიდა; 17. ელჩის გაწვევა სახელმწიფოდან; 18. კოსმონავტის ჰერმეტული კოსტუმი; 22. ქიმიური ინდიკატორი; 23. პოლიტიკური პარტიის ნაწილი; 24. ჩეჩნებისა და ინგუშების ძველი სახელწოდება საქართველოში; 25. პირველი კოსმონავტი.

*შეადგინა თ.გოგინაშვილმა*

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

**კროსვორდი ა**

**შვეულად:** 1. პალერმო; 2. ებანი; 3. მოძახილი; 4. ბრუდერი; 5. შამპანური; 9. აკვანი; 12. კოპელია; 14. უჯარმა; 15. ნანა; 17. ჯამნა; 18. უშტი.

**თარაზულად:** 6. ხარები; 7. კოტირება; 8. ქედანი; 10. გენუა; 11. როინაშვილი; 13. კულინანი; 16. კოტეჯი; 19. შპილმანი; 20. ჩანჩქერი.

**კროსვორდი ბ**

**შვეულად:** 1. შეპარდი; 2. მიუსერა; 3. კრაისლერი; 4. ალპები; 5. ასტანა; 9. ბუერი; 10. ამტყელი; 14. ჰერბარიუმი; 15. შერმადინი; 16. სლაიდი; 19. კეტჩუპი; 20. კეხურა; 21. ჯალიტა.

**თარაზულად:** 6. რესპირატორი; 7. ბიბლისი; 8. კაზუსი; 11. დურბანი; 12. ხრამი; 13. ტერტერა; 17. სეგიდელია; 18. ფილისტერი; 22. გერგეტი; 23. დიადორა; 24. ოპონენტი; 25. რიქსდაგი.

# ბრძოლა ევროტურნირებისთვის გამძაფრდა

დღეს იწყება საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის მე-20 ტური, რომელიც 3 დღეს გასტანს. განსაკუთრებით საინტერესო იქნება მატჩები იმ გუნდების მონაწილეობით, რომლებიც ევროსაგზურებისთვის იბრძვიან.

### 11 მარტი

**ლოკომოტივი-სიონი**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

ორი განსხვავებული მიზნებისთვის მებრძოლი გუნდი. ლოკომოტივს მდევრების სუნთქვა ესმის და მისთვის ყველა ქულა მნიშვნელოვანია, რათა უმაღლეს ლიგას არ დაემშვიდობოს. სიონი პირიქით – ევროსაგზურებისთვის იბრძვის, სადაც გაცილებით მეტი სიმჭიდროვეა, ვიდრე გასავარდნ ზონაში.

ლოკომოტივი 2 ფეხბურთელს მოისაკლისებს, რომლებიც წინა ტურში გაუძევეს – ქიქავასა და გიორგი ფოფხაძეს.

### 12 მარტი

**დილა-ჩიხურა**

**გორი. თენგიზ ბურჯანაძე**

ცუდად დაიწყეს გორელებმა მეორე წრე. საჩემპიონო ბრძოლაში შემართულებს, შესაძლოა, ევროსაგზურიც უკან დარჩეთ. რამდენი დაუგეგმავი ქულა გაანიავეს და საქმე გაირთულეს.

ჩიხურამ კი 7 ქულა აიღო და თავად ჩაერთო საპრიზო ადგილებისთვის ბრძოლაში. საინტერესო მატჩი უნდა გამოდგეს.

**ზუგდიდი-დინამო (თბ)**

**ზუგდიდი. ბაიას ბაზა**

რამ უნდა შეუშალოს დინამოს ხელი, რომ ზუგდიდში მატჩი ვერ მოიგოს... დედაქალაქელები ჩინებულ ფორმაში არიან და ვადაზე ადრე ჩანს, რომ ჩემპიონობაში ვერავინ შეეცილება.

ზუგდიდი კი თავის გადასარჩენად იბრძვის, რადგან უკვე იცის, რომ ამ შემთხვევაში არც გუნდების რაოდენობას გაზრდიან და მისი უმაღლესში დარჩენაც საეჭვოდ ჩანს.

### 13 მარტი

**მერანი-სამტრედია**

**მარტვილი. მურთაზ ხურცილავა**

მეორე წრეში მერანმაც მოუმატა და ბოლო ადგილზე მყოფმა უკვე ორი მეტოქე მოიტოვა უკან, მაგრამ ეს დამშვიდების საშუალებას არ აძლევს, რადგან მე-14 ადგილი გადათამაშებაში მოხვედრება. ამასთან, ამ ადგილსაც შენარჩუნება უნდა, რათა პირდაპირ არ დაქვეითდეს. საამისოდ ქულებია საჭირო.

ქულები სამტრედიასაც სჭირდება, რომელიც მარტვილში კარგ ხასიათზე ჩადის – ბოლო ტურში 8:2 მოიგეს და მე-3 ადგილზე აღზევდნენ. სამეულსა და ევროტურნირებზე მოსახვედრად კი აუტსაიდერებთან ქულების დაკარგვა, შესაძლოა, ძვირად დაუჯდეთ.

**დინამო (ბთ)-ცხინვალი**

**ქობულეთი. ჩელე არენა**

ტურის ცენტრალური მატჩი. ორივე გუნდს მაღალი ამბიცია გააჩნია და ერთმანეთში გაარკვევენ, ვინ უფრო მოტივირებულია.

ზღვისპირელებმა მეორე წრე კარგად დაიწყეს, მაგრამ ბოლო ტურში ქუთაისის ტორპედოსთან წააგეს და ოდნავ გაიუარესეს სატურნირო მდგომარეობა.

ცხინვალს კი მეორე წრეში არ მოუგია, მაგრამ არც წაუგია და ზედიზედ 4 ფრე ითამაშა. არადა, თუნდაც 2 მატჩის მოგებით ახლა მე-2 ადგილზე იქნებოდნენ. ამ დანაკლისის შევსებას ქობულეთში კი ეცდებიან, მაგრამ ბათუმელები არაფრის დათმობას არ აპირებენ.



**საბურთალო-გურია**

**თბილისი. მიხეილ მესხი**

საბურთალო ახალი მწვრთნელით დახვდება გურულებს. გია ჭიაბრიშვილი საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გია გეგუჩაძის ასისტენტად დაინიშნა და ის ესპანელმა პაბლო ხუან მარტინიმ ჩაანაცვლა.

მეორე წრეში საბურთალო „გადამწვარი" ჩანს. ახალგაზრდა ფეხბურთელებმა, როგორც ჩანს, უმაღლესი ლიგის დატვირთვას ვერ გაუძლეს, თუმცა საშიში არაფერია – გუნდი, სავარაუდოდ, უმაღლესში ადგილს შეინარჩუნებს.

ადგილის შესანარჩუნებლად იბრძვის გურია, რომელიც მხოლოდ 5 ქულით უსწრებს მე-14 ადგილს, მაგრამ ლანჩხუთელები მეორე წრეში საკმაოდ გაძლიერდნენ და ელიტაში დარჩენა არ უნდა გაუჭირდეთ.

საბურთალოს დისკვალიფიცირებული მარგველაშვილი დააკლდება.

**საპოვნელა-შუქურა**

**ზესტაფონი. დავით აბაშიძე**

თერჯოლელთა შანსი... იმერლებმა მეორე წრეში ყველა მატჩი წააგეს და ბოლო ადგილზე გადაინაცვლეს. შუქურას მიმდინარე სეზონში არანაირი პრეტენზია არ გააჩნია და უმოტივაციოდ არიან დარჩენილნი. აქედან გამომდინარე, უნდა ვივარაუდოთ, რომ საპოვნელას არცთუ რთული მატჩი ელის.

**კოლხეთი-ტორპედო**

**ფოთი. პარკი არენა**

3-წლიანი პაუზის შემდეგ ფოთში ფეხბურთი ბრუნდება. თუმცა, არასაფეხბურთო მოედანზე – კოლხეთი ქუთათურებს მორაგბეების კუთვნილ მოედანზე უმასპინძლებს.

ეს დამატებითი სტიმულია კოლხეთისთვის და შეეცდებიან საკუთარი მაყურებლის თვალწინ პირველი მოგებაც მიითვალონ. საამისოდ გუნდს ვერ დაეხმარება შალიკაშვილი, რომელიც წინა ტურში მოედნიდან იქნა გაძევებული და სასჯელს იხდის.

მოგება უნდა ტორპედოსაც, რომელმაც მეორე წრე კარგად დაიწყო, ზედიზედ 3 მატჩი მოიგო და ევროსაგზურისთვის ბრძოლაში მინიმალური შანსი გაიჩინა.

**სატურნირო ცხრილი:**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1.დინამო (თბ) | 19 | 17 | 1 | 1 | 53-15 | 52 |
| 2.დილა | 19 | 12 | 4 | 3 | 33-15 | 40 |
| 3.სამტრედია | 19 | 12 | 2 | 5 | 45-22 | 38 |
| 4.სიონი | 19 | 11 | 4 | 4 | 39-22 | 37 |
| 5.ცხინვალი | 19 | 10 | 6 | 3 | 37-22 | 36 |
| 6.ჩიხურა | 19 | 10 | 3 | 6 | 35-17 | 33 |
| 7.დინამო (ბთ) | 19 | 9 | 6 | 4 | 31-18 | 33 |
| 8.ტორპედო | 19 | 8 | 5 | 6 | 30-28 | 29 |
| 9.შუქურა | 19 | 7 | 6 | 6 | 19-17 | 27 |
| 10.საბურთალო | 19 | 6 | 3 | 10 | 27-46 | 21 |
| 11.კოლხეთი | 19 | 5 | 3 | 11 | 14-25 | 18 |
| 12.ლოკომოტივი | 19 | 4 | 4 | 11 | 20-27 | 16 |
| 13.გურია | 19 | 3 | 7 | 9 | 15-30 | 16 |
| 14.მერანი | 19 | 3 | 2 | 14 | 16-46 | 11 |
| 15.ზუგდიდი | 19 | 1 | 6 | 12 | 13-42 | 9 |
| 16.საპოვნელა | 19 | 2 | 2 | 15 | 12-47 | 8 |

*მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა*

# მომღერლებმა პატიმარ ქალებს უმღერეს

ქართველმა მომღერლებმა პატიმარი ქალებისთვის კონცერტი გამართეს და გაზაფხულის შემობრძანებასთან ერთად მარტის დღესასწაულები მიულოცეს.

სასჯელაღსრულების მე-5 ქალთა დაწესებულებაში კონცერტი გაიმართა, რომელსაც მერის მოადგილე ნინა ხატისკაცი, კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ია მაქაცარია და საკრებულოს განათლებისა და კულტურის კომისიის თავმჯდომარე თამარ ტალიაშვილი და სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს წარმომადგენლები დაესწრნენ.

მსჯავრდებულ ქალებს დღესასწაული ქართველმა მომღერლებმაც მიულოცეს. კონცერტში მონაწილეობა მიიღეს ქუჩის ბიჭებმა, გიო და ზუკა ხუციშვილებმა, ლაშა და ანა ღლონტებმა, ზურაბ მანჯავიძემ, ბუკა მანაგაძემ, ვახტანგ ტატიშვილმა, ნუგზარ კვაშალმა, თემურ წიკლაურმა და სხვა შემსრულებლებმა.

ცნობილმა ქართველმა მომღერლებმა დუეტები შვილებთან სპეციალურად ამ კონცერტისთვის შეასრულეს. მომღერლებმა დუეტში მსჯავრდებულ ქალბატონებთანაც იმღერეს. კონცერტის წამყვანი თეატრმცოდნე ნიკა წულუკიძე იყო.

**ნიკოლოზ წულუკიძე:**

– ამ ქალბატონებს ყველაზე მეტად სჭირდებათ საზოგადოების თანადგომა და მხარდაჭერა. მივედით მათთან, რომ გაზაფხულის მობრძანება გვეხარებინა და მათთვის მარტის დღესასწაულები მიგველოცა.



**გიო ხუციშვილი:**

– არასოდეს ვამბობ უარს მსგავს კონცერტებში მონაწილეობაზე. ეს მართლაც სასწაული შეგრძნებაა. მსჯავრდებულ ქალბატონებთან მოვედით მე და ჩემი მეგობრები, მოვიყვანე ჩემი შვილიც და ერთად ვუმღერეთ, რომ ერთი დღე მათთვის გაგველამაზებინა.

**ზურა ხაჩიძე:**

– მსჯავრდებული ქალბატონები განსაკუთრებული სიძლიერით გამოირჩევიან. შეცდომებს ყველანი ვუშვებთ, ამიტომ მათ გამოსწორებაზეც უნდა ვიფიქროთ. ჩვენ, ქუჩის ბიჭები, სიამოვნებით დავთანხმდით ამ კონცერტში მონაწილეობას და კიდევ უფრო ნასიამოვნებები დავრჩით, როცა მათთან ერთად დუეტში ვიმღერეთ.

**თემურ წიკლაური:**

– ეს ქალბატონები ჩვენი დები, შვილები და დედები არიან. მათ განსაკუთრებული მოფერება სჭირდებათ, ამიტომაც ჩვენ, ყველამ ერთად, მათ მხარდასაჭერად გავაკეთოთ ის, რაც შეგვიძლია. მომღერლებს შეგვიძლია სიმღერა, ამიტომ მათთან მოვედით და ყველამ ერთად ვიმღერეთ.

# ანსამბლი „რუსთავი" კიევში მიიწვიეს

ქართული სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი" უკრაინაში მიიწვიეს. მორიგ საპასუხისმგებლო გასტროლებს „რუსთავი" ჩვეული სიხარულით, ენთუზიაზმითა და პასუხისმგებლობით შეხვდა. ამჯერად საკონცერტო სერიების ფორმატი განსხვავებულია. ანსამბლ „რუსთავს" უკრაინის ყველაზე სახელოვან ანსამბლთან ერთად მოუწევს გამოსვლა. ქართველი მოცეკვავეები უკრაინელი ქორეოგრაფის, პაველ ვირსკის სახელობის ანსამბლთან ერთად იცეკვებენ.

პირველ გრანდიოზულ სადღესასწაულო კონცერტს სახელწოდებით „სიყვარულით საქართველოდან" ლეგენდარული სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი „რუსთავი" კიევის „უკრაინის სასახლეში" გამართავს.

მეგობრული, უპრეცედენტო საცეკვაო შეჯიბრების კულმინაციას უკრაინელი მაყურებელი 16 მარტს იხილავს კიევში, კულტურისა და ხელოვნების საერთაშორისო ცენტრში, „ოქტიაბრსკის" სასახლის სცენაზე. მსოფლიოში სახელგანთქმული ორი ნაციონალური ცეკვის კოლექტივი ერთმანეთს მთავარი პრიზის – მაყურებლის გულის მოსაგებად შეერკინება. ორმა უბრწყინვალესმა ეროვნულმა კოლორიტმა თავიანთი ულევი ენერგიითა და არტისტიზმით, უბადლო ოსტატობითა და ხალხური სტილების ორიგინალური ინტერპრეტაციით უკვე განაცვიფრა მსოფლიო.

– საქართველოსა და უკრაინის საკონცერტო ცხოვრებაში ეს უნიკალური მოვლენა, რომელიც ერთ სცენაზე 150-მდე პირველი კლასის ხელოვანს უყრის თავს, უცილობლად შევა ჩვენი ქვეყნების კულტურის თანამედროვე ისტორიაში. ყოველ ჯერზე გეჩვენებათ, რომ ვირტუოზულობის მწვერვალი უკვე დაპყრობილია... თუმცა ყოველი გამოსვლით, ყოველი ნომრით, შეუდარებელ არტისტებს ესთეტიკური ტკბობის ახალ-ახალ თავბრუდამხვევ მწვერვალებზე აჰყავხართ. ასეთი მასშტაბის საცეკვაო მოვლენის ხილვის, ორი დიდებული ქვეყნის ეროვნული სულის კოლოსალური ენერგიით დამუხტვის, ორ დიად კულტურასთან ზიარების შესაძლებლობა მაყურებელს მხოლოდ ერთხელ მიეცემა, – აცხადებს ანსამბლ „რუსთავის" ქორეოგრაფი ფრიდონ სულაბერიძე.

საქართველოს ხალხური სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო აკადემიური ანსამბლი „რუსთავი" კი საქართველოს სიამაყეა. ანსამბლმა „რუსთავმა", რომლის ისტორია ჯერ კიდევ 1968 წელს დაიწყო, ფენომენალურ ოსტატობას მიაღწია.

ანსამბლი 50-მდე მოცეკვავის, 12 მომღერლისა და საკუთარი ორკესტრისგან შედგება, რომელიც მხოლოდ ნაციონალურ ხალხურ მუსიკალურ საკრავებს იყენებს. მოცეკვავეები წარმოაჩენენ ხალხური ცეკვების გამაოგნებელ, სრულყოფილების მწვერვალებამდე აყვანილ ქორეოგრაფიულ ხელოვნებას. თითქმის ნახევარსაუკუნოვანი არსებობის განმავლობაში ანსამბლ „რუსთავს" გამართული აქვს 5000-ზე მეტი კონცერტი მსოფლიოს 80-მდე ქვეყნის საუკეთესო საკონცერტო დარბაზებში.

„რუსთავმა" მოხიბლა მაყურებელი და დაიმსახურა წარმოუდგენელი ოვაციები ევროპისა თუ აზიის ყველა ქვეყანაში. ნათელი კოსტიუმები, ბრწყინვალე შესრულება, შეუდარებელი ქორეოგრაფია ყველაზე კრიტიკული მაყურებლის მოწონებას იმსახურებს. „რუსთავის" ცეკვის სტილი ქართული სულის თვითმყოფადობასა და მის ჭეშმარიტად განუმეორებელ ბუნებას უსვამს ხაზს.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## პროგრამა

**პარასკევი 11 მარტი**

07.00, 07.30, 08.00, 09.00, 09.30, 10.00, 12.00, 14.00, 16.00, 18.00, 20.00, 01.00 "მოამბე" 07.05, 08.30, 09.10 "დილა" 10.10 "პირადი ექიმი" 10.50 ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" 12.30 "ადამიანი კამერით" 13.00 ტ/სერ "**ჩენტო ვეტრინე**" 14.05 "წიგნების თარო" 14.30 ან/ფ "მხიარული ფერმა" 15.00 დ/ფ "ჯეიმის კერძები 30 წუთში" 16.45 "ეკონომეტრი" 17.00 ტ/სერ "**ქესლი**" 19.00 "ტელებლოგი" 19.30 "სიტყვების თამაში" 20.30 "მთავარი თამარ ჩიქოვანთან ერთად" 21.00 "პროექტი ზღვარზე ტელებლოგში" 21.30 სოციალური თოქ-შოუ 23.00 ტ/სერ "**დაუნტონის სააბატო**" 00.00 "კომუნიკატორი" 01.10 მხ/ფ "**მოკრივე**" (დ.დეი-ლუისი) 03.10 "პირადი ექიმი"

08.00, 10.10, 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 23.30 "ბრიფინგის დრო" 10.00 "გეოფაქტორი" 10.30 "არგუმენტების დრო" 13.00 დ/ფ "ჟოზეფ მალორ უილიამ ტერნერი" 14.00, 16.00 ტ/სერ. "**ნიკიტა**" 17.00 "პოლიტალტერნატივა" 19.00 "თავისუფალი ტრიბუნა" 20.00 "მოამბე" (5 ენაზე) 21.30 "არგუმენტების დრო" 23.00 "ნამდვილი დრო"

06.30, 14.40 სერ. "**ორი ბედი**" 07.30, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 02.00 ქრონიკა 07.35, 08.10, 08.35, 09.15 იმედის დილა 10.05 სერ. "**ოცი წუთი**" 11.20 სერ. "**დახურული სკოლა**" 12.30 დღის შოუ 16.00 სერ. "**თანხმობა**" 17.35, 19.03 სერ. "**პატარძალი**" 20.55 სერ. "**ნამსხვრევები**" 22.00 პოლიტიკა 23.30 მხ/ფ. "**მწვრთნელი კარტერი**" (ჩ.ტატუმი) 02.10 მხ/ფ. "**ფან-ფან ტიულპანი**" (პ.კრუსი) 03.50 ერთხელ საქართველოში 05.35 მხ/ფ. "**მეტროპია**" (ჯ.ლუისი)

06.30 სერ. "**დაკარგული ბავშვობა**" 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 14.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. "**დინასტია**" 12.30, 14.05 "შუა დღე" 15.55 სერ. "**ქარადაი - ახალგაზრდობა**" 16.55 სერ. "**ინდური საგა**" 18.45 სერ. "**შენ, მხოლოდ შენ**" 19.45, 20.05 სერ. "**აღთქმა**" 20.50 ლოტო 22.00 ვანოს შოუ 23.00 ქერის უბანი 23.30 ქ.მხ/ფ. 01.00, მხ/ფ. 03.00 კურიერის დაიჯესტი

GDS

9.00, 18.30 საინფორმაციო გამოშვება. მსოფლიო ამბები 9.30, 15.30 Discovery- როგორ არის დედამიწა მოწყობილი 10.30, 17.30 ან/სერ. "**ვარსკვლავური ომები**" 11.30 შუადღე 14.00, 20.00 ცოლები და ქმრები 14.30, 19.00 სერ. "**ძვლები**" 16.30 აირჩიე კაბა 20.30 20.30 22.00 მხ/ფ "**რისხვი 23**" 23.45 ID Extra - სასჯელს თითქმის გავექეცი 0.45, 2.30 URBAN STORIES 1.35 ჯიდიპედია

06.10 მუს.პაუზა 06.15 კვირიაკე 07.20 მარხვის კარიბჭესთან-დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი 08.00 დილის ლოცვა 08.20 სახარება 08.25 მუს.პაუზა 08.30 "განთიადი" 10.10, 19.00, 22.00, 00.05, 02.30 სიახლენი 10.35 ლექციები მეფუტკრეობაზე 10.50 დ/ფ "იაკობ გოგებაშვილი" 11.30 ღვთის სახლი 12.10 პორტრეტები 13.15 წიგნიერების გაკვეთილები ასფურცელასგან 13.30 შუადღე ერთსულოვნებაზე 14.30 დეკორატიული ფლორა "კოდიუმი" 15.00 საეკლესიო კალენდარი 15.10 ქართ. ან/ფ 15.30 დ/ფ "მე-8 საოცრება" 16.30 კონცერტი 17.10 მარხვის კარიბჭესთან-დეკანოზი არჩილ მინდიაშვილი II ნაწ. 17.30 მიწათმოქმედი "ჯიშთა გამოცდა" 17.45 ქვიშანი დარჩებიან 18.10 განთიადის სტუმარი 18.40 ძველი აღთქმის განმარტებანი 19.20 სიმღერის კვალდაკვალ 20.00 თაობა ზეტი "ჯანსაღი ცხოვრება" 20.40 ძილი ნებისა "სამყაროს შექმნა" 21.05 პატრიარქის ქადაგება 21.15 დროის ჩანაწერები 22.25 მოგზაურობა სამშობლოში "სუჯეთის სამანები" I ფ. 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 საუბარი მოძღვართან 23.35 თბილისის ტაძრები "მეტეხის ტაძარი" 00.35 დ/ფ "ბილიკების ენა" 01.00 შუადღე ერთსულოვნებაზე

მაესტრო

7.00, 10.00, 11.00, 14.00, 16.00, 17.00, 19.00, 23.30, 2.00, 3.30 "კონტაქტი" 7.30 ან/ფ "ბუშტუკები" (ჟესტიკულაციით) 7.55 "საქმიანი დილა" 10.05, 11.05 სერ. "**შავი ფული და სიყვარული**" 12.30, 18.30, 0.00 "ბიზნეს კონტაქტი" 114.05, 15.30, 16.05, 17.05, 01.30 სერ. "**კარმელიტა** 18.00 "კონტაქტი ექვსზე" 19.05 სერ. "**ქალთა ექიმი**" 20.00 "კონტაქტი რვაზე" 20.45, 22.30 სერ. "**მოკალი სტალინი**" 21.30 თოქ-შოუ "მაესტროს ფაქტორი"

პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის" ნებართვით

**წვერსაპარსი PHILIPS + საჩუქარი ტრიმერი**
**50 ლარი 90-ის ნაცვლად**

✓ მოძრავი პირები, რომლებიც იმეორებს თქვენი სახის კონტურს;
✓ მოქნილი ერგონომიკა ოპტიმალური ხმარებისთვის;
✓ სამუშაო ძაბვა 220 ვტ;
✓ გასაწმენდი ჯაგრისი;
✓ აკუმულატორი;
✓ მოჰყვება დამტენი;
✓ დატენვის ინდიკატორი;
✓ ბაკების გასასწორებელი;
✓ ორმაგი უჟანგავი რკინის პირი;
✓ მუშაობს შიდა აკუმულატორზე;
✓ ტრიმერი ბაკების და ულვაშების გასასწორებლად;

**სმენის აპარატი 45 ლარად 90 ლარის ნაცვლად**

1.ხმის გაძლიერება 50დб.–120
2.ხმის რეგულირება.
3.ერგება ორივე ყურზე.
4.პატარა,მსუბუქი,შეუმჩნეველი.
5.კომპლექტშია:მოწყობილობა 1 ც რბილი რეზინები ყურებისთვის 3ც. ელემენტები LR41 – ჩასადები ყუთი,ინსტრუქცია.

**შეიძინეთ Mozer-1800 – პროფესიონალი გერმანული თმის საკრეჭი!**
**50 ლარად 95 ლარის ნაცვლად**

MADE IN GERMANY

ძრავი: 6 000 ბრ/წთ
ხმაურის დაბალი დონე;
საწმენდი ჯაგრისი, დანების ზეთი;
ხუთი საკრეჭი თავი
მასალა - უჟანგავი ფოლადი.

მაღაზია Stop&Shop
დარეკეთ წინასწარ! ☎: 2-182-186.
მის: ვაჟა-ფშაველას №79.
579 885 996

**ძვალ-სახსართა პრობლემების:**

კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, ოსტეოპოროზის, ოსტეოართროზის, რევმატოიდული ართროზის, ანკილოზივური სპონდილიტის, პოდაგრული ართრიტის, პოლიართრიტის მკურნალობა. დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების მოხსნა, ნერვული სისტემისა და ძილის მოწესრიგება. მკურნალობა საოპერაციო და ნაოპერაციევ სახსრებზე — ძვლის მკვებავებით, მცენარეული პრეპარატებით, წონის დარეგულირებით, სისხლის მიმოქცევის აღდგენით, იმუნიტეტის გაძლიერებით, მარილებისა და შლაკებისაგან გათავისუფლებით. უკუჩვენება არაა. შედეგები საუკეთესოა და მყარი.

☎ 599-91-37-65, 234-02-38
ქალბატონი ქეთათო

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი**

11 მარტისთვის

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 2.4509 |
| ევრო | 2.6857 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 3.4864 |
| 100 რუსული რუბლი | 3.3968 |

**ამინდის პროგნოზი 11 მარტისთვის**








## 14 მარტიდან

„ახალ თაობასთან“ ერთად

მუხრან მაჭავარიანი

100 ლექსი




## 7 მარტიდან!

„ახალ თაობასთან“ ერთად

მურმან ლებანიძე

100 ლექსი

ფასი გაზეთთან ერთად 4 ლარი


## შორენა ბეგაშვილი ფოტომოდელი გახდა

მსახიობმა შორენა ბეგაშვილმა ახალი პროფესია შეითავსა. ჯერ იყო და მსახიობობიდან ტელეწამყვანობაზე გადავიდა, მოგვიანებით ნაქსოვი სამოსის ბიზნესი წამოიწყო, ახლა კი ფოტომოდელი გახდა.



შორენა საკმაოდ გადატვირთული გრაფიკით მუშაობს და მონაწილეობს ფოტოსესიებში, რომელიც, მისივე განცხადებით, უდიდეს სიამოვნებას ანიჭებს. ჯერჯერობით მსახიობი არ ასაჯაროებს, კონკრეტულად რისთვის ან ვისთვის არის განკუთვნილი ეს ფოტოსესია.

**შორენა ბეგაშვილი:**

– თითქმის ყოველ მეორე დღეს გადაღება მაქვს. ხანდახან მგონია, რომ ონლაინრეჟიმით ვცხოვრობ, ხან ისე ვიღლები, რომ ლიფტში იატაკზე ვჯდები სახლამდე, ხან ვწუწუნებ, რომ ჩემთვის დასვენება არ არის, მაგრამ, როცა ვუყურებ შედეგს, ძალიან მსიამოვნებს და ზუსტად იქ ვარ, სადაც უნდა ვიყო.

*მოამზადა ეკა ირემაშვილმა*

## კროსვორდი ა

**შვეულად**: 1. გამოგონების დამადასტურებელი დოკუმენტი; 2. მაღალხარისხოვანი მინა; 3. აღორძინების ეპოქის იტალიელი მხატვარი; 4. მგალობელი ფრინველი; 5. ქართველი პიანისტი მამაკაცი; 9. ხორცის პროდუქტების მწარმოებელი ქართული ფირმა; 12. ოპერა „დაისის“ პერსონაჟი; 14. რომის პაპის წარმომადგენელი რომელიმე სახელმწიფოში; 15. ხელოვნების მუზეუმი ლოს-ანჟელესში; 17. სატანვარჯიშო სპორტული იარაღი; 18. ქალის ან ბავშვის დაბალი სასიმღერო ხმა.

**თარაზულად**: 6. გრიგოლ რობაქიძის პიესა; 7. ფრანგი მწერალი ქალის ჟორჟ სანდის რომანი; 8. ადვოკატი ანუ...; 10. სამეცნიერო ქალაქი რუსეთში; 11. მანათობელი მწერი; 13. სოფოკლეს ტრაგედია; 16. სახელმწიფო ჩრდილო ამერიკაში; 19. აპარატი, რომელიც განსაზღვრავს ობიექტის ადგილმდებარეობას, მისგან არეკლილი ბგერითი ტალღების საშუალებით; 20. მე-16 საუკუნის პორტუგალიელი ზღვაოსანი.

*შეადგინა თ.კოპალეიშვილმა*




## მესი ბარსელონაში მინიმუმ 2021 წლამდე დარჩება



ბარსელონის ლეგენდა ლიონელ მესი, სავარაუდოდ, კარიერას სწორედ კატალონიურ გუნდში დაასრულებს.

ბარსელონის სპორტულმა დირექტორმა რობერტ ფერნანდესმა განაცხადა, რომ მესი კონტრაქტს 2021 წლამდე გაახანგრძლივებს და სხვა კლუბში სათამაშოდ არ გადავა. ფერნანდესის თქმით, არგენტინელი ფორვარდი კიდევ რამდენიმე წლის განმავლობაში შეძლებს უმაღლეს დონეზე თამაშს. გარდა ამისა, თვითონ მესიც ძალიან ბედნიერია ბარსელონაში და ამ გუნდში მას ყველაფერი აკმაყოფილებს.

წლევანდელ სეზონში მესის 2 თვე გაუცდა, მაგრამ ამას მის ფორმაზე უარყოფითად არ უმოქმედია და ლეო განაგრძობს გოლების გატანას. ესპანეთის ჩემპიონატში მის ანგარიშზე უკვე 21 გოლია.

## ზლატანმა ევროტურნირებზე 50-ე გოლი გაიტანა



ზლატან იბრაჰიმოვიჩს ევროტურნირებზე 50 გატანილი გოლი დაუგროვდა და ამ მაჩვენებლით ის დიდიე დროგბას გაუთანაბრდა.

ზლატანმა საიუბილეო 50-ე გოლი ჩელსის წინააღმდეგ სტემფორდ ბრიჯზე გაიტანა და ამ გოლმა პსჟ-ს გამარჯვებაში გადამწყვეტი როლი ითამაშა.

ევროტურნირების ყველა დროის საუკეთესო ბომბარდირი კრიშტიანო რონალდუა, რომლის ანგარიშზეც 93 გოლია, ხოლო მეორე ადგილს 85 გოლით ლიონელ მესი იკავებს.

იბრაჰიმოვიჩი ამ რიცხვებს ვერ გაუტოლდება, მაგრამ მისი გუნდი ჩემპიონთა ლიგის ერთ-ერთ ფავორიტად ითვლება.

პსჟ-მ ჩელსის ბარიერი დამაჯერებლად გადალახა და თავის მეტოქეს ელოდება მეოთხედფინალში, რომელიც 18 მარტს გახდება ცნობილი.

## დი მარიას რეალთან შეხვედრა სურს



პსჟ-ს არგენტინელმა ფორვარდმა ანხელ დი მარიამ თავისი გუნდის მომავალ მეტოქეებზე ისაუბრა და თქვა, რომ დიდი სურვილი აქვს, მადრიდის რეალს დაუპირისპირდეს.

შეგახსენებთ, რომ დი მარიამ რეალში 4 წელიწადი გაატარა და სამეფო გუნდის ერთ-ერთ ლიდერად ითვლებოდა.

– ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ჩელსი დავამარცხეთ და მეოთხედფინალში გავედით. ჩელსი რთული მეტოქე იყო, ამიტომ გამარჯვება ორმაგად სასიხარულოა. დიდი სურვილი მაქვს, მეოთხედფინალში ჩვენი მეტოქე რეალი გახდეს, რადგან სანტიაგო ბერნაბეუზე დაბრუნება განსაკუთრებული იქნება. ამ სტადიონზე 4 წელიწადი ვთამაშობდი და მხოლოდ კარგი მოგონებები მაქვს, – განაცხადა დი მარიამ.

## რობერტო მანჩინის რუსეთში ელიან



მილანის ინტერის მთავარ მწვრთნელ რობერტო მანჩინის რუსეთის რამდენიმე კლუბისგან აქვს შემოთავაზება.

ყველაზე მეტად ცსკა და ზენიტი აქტიურობენ, რომლებსაც დიდი სურვილი აქვთ, მანჩინი თავიანთ გუნდში იხილონ.

ინტერის ხელმძღვანელობამ მანჩინის ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვება დაავალა და, თუ ის ამას თავს ვერ გაართმევს, ინტერს მომავალ სეზონში ახალი მწვრთნელი ეყოლება.

თვითონ მანჩინიმ ჟურნალისტებთან საუბარში დაადასტურა, რომ რუსეთიდან შეეხმიანნენ, თუმცა, მანჩინის თქმით, ის ინტერის მთავარი მწვრთნელია და მხოლოდ ინტერზე ფიქრობს.

*მოამზადა ბექა გოგინაშვილმა*



## იუმორი

ბიჭი გოგოს ურეკავს და ეუბნება:

– ნათელა, შენი ის ფოტოსურათი გამოვაქვეყნე, შიშველი რომ ხარ გადაღებული.

– უტვინო, სულელო, მოგკლავ იცოდე!!! დაუყოვნებლივ წაშალე!!!

– 5999 მოწონება აქვს.

– მაშინ არ წაშალო, სულელო!!!

•••

მილიონერის ქალიშვილმა მშობლებთან გასაცნობად თავისი შეყვარებული მიიყვანა. სასიძოს ქალიშვილის მამა ეკითხება:

– ბინა გააქვს?

– არა, მაგრამ ღმერთი მომცემს.

– მანქანა გყავს?

– არა, მაგრამ ღმერთი მომცემს.

– ჩემი ქალიშვილის საკუთარი შემოსავლით უზრუნველყოფას შეძლებ.

– ღმერთის წყალობით შევძლებ.

შეყვარებულის წასვლის შემდეგ ქალიშვილი მამას ეკითხება:

– აბა რას იტყვი, მოგეწონა ჩემი შეყვარებული?

– დიდ არაფერს წარმოადგენს, მაგრამ ძალიან მომეწონა, ღმერთს რომ მეძახოდა!

•••

ერთი მეგობარი მეორეს ეკითხება:

– თვალი ჩალურჯებული რატომ გაქვს?

– ქალის გამო ვიჩხუბე!

– ვისთან?

– ცოლთან...

•••

ერთი ნაცნობი მეორეს ეუბნება:

– რა უტაქტობაა შენი მხრიდან! მე შენ გეუბნები, რომ ჩემი ცოლი ბავშვს ელოდება, შენ კი მეკითხები, ვისგანო?

– მაპატიე, მეგონა, იცოდი.

•••

ქმარი ცოლს ეძახის:

– ქალო, გაიხადე, მოვდივარ.

ცოლს გაუხარდა, როგორც იქნა, აზრზე მოვიდაო, გაიხადა და ლოგინში ჩაწვა. მივიდა ქმარი, შეუწვა ლოგინში და ეუბნება:

– ქალო, ნახე, რა მაგარი საათი ვიყიდე, სიბნელეში ანათებს.

**მოამზადა კახა ხატიაშვილმა**